



### წა ჴრიგოლ იმრთისმეტყველი

#### ჩათლისღებისათჳს\*

ქოშელი იპითხჳის ღღესა მჳორჳსა

უშინ ბრწყინვალესა მას ნათლისღებისა დღესა აღვასრულეთ კრებად (რამეთუ ჳერ-იყოცა განმხიარულება დღესა მას ცხორებისა ჩუენისასა და უფრო, ვიდრელა სხუანი იხარებდიან დღესა ქორწილისა და შობისასა და იშუებდიან მოყუარენი იგი ჴორცთანი დღესასწაულთა მათ ჴორციელთა).

ჴოლო დღეს ჩათლისღებისათჳს მცირედ ვთქუათ და კეთილთა მათ, რომელნი მის მიერ მოგუეცემიან ჩუენ, დაღაცათუ გუშინ ვერარად ვთქუთ ამისთვის სისწრაფისათჳს ჟამისა და სიმრავლისათჳს სიტყუათაჲსა, რაჲთა არა განსძღვთ და არღარა გსუროდის სმენად, რამეთუ სიმრავლჳ სიტყუათაჲ მავნებელ არს სასმენელთა, ვითარცა-იგი გარდამატებული ჭამადი – ჴორცთა.

ჯერ-არს უკუე, რაჲთა ისმინნეთ სიტყუანი ესე კეთილად და სურვილით და არა გარენარად ესევეითართა მათ საქმეთათჳს, რამეთუ ესე არს ჩათლისღება, რაჲთა გულისჴმა-ჴყოთ ძალი საიდუმლოჲსა ამის.

2. სამნი შობანი უწყებულ არიან ჩუენდა – ერთი იგი ჴორცთაჲ და მეორე – ნათლისღებისაჲ და მესამე – აღდგომისაჲ. ჳმათგანი ერთი იგი ბნელისაჲ არს და მონაჲ და ვნებული; ხოლო მეორე – ნათლისაჲ და აზნაური, დამჴსნელი ვნებათაჲ, რომელი ყოველსავე შობითგანსა ბინსა განსწმედს და ცხორებისა მიმართ ხეცათაჲსა წარგჳძლჳს; ხოლო მესამე იგი უსაშინელესი არს და უმაღლესი, რომელი ყოველსავე დაბადებულსა შეჴკრებს მეყსა შინა წარდგომად წინაჲშე ჳამბადებელისა და სიტყჳს მიცემად მოქალაქობისა მისთვის, რომელი ამას სოფელსა შინა აღასრულა თითოეულმან, გინათუ ჴორცთა ნებასა ოდენ დაემორჩილა, ანუ თუ სულსა შეუდგა და მაღლისა მისგან მეორედ შობისა შეიკდიმა.

ჳმათ სამთავე შობათა თავისა თჳსისა მიერ

პატივცა ჴრისტე, ოფალმან ჩემმან: ერთსა მას – განკაცებითა ჴუსითა, ქომელმან-იგი შეიმოსა ყოვლითურთ კაცებაჲ და სული იგი, რომელი პირველ შთაჴბერა **ჳდამს**, მიიღო **ჳან ჴავადმან** და ჴორცნი იგი მინისაგანნი შეიმოსნა (ლკ.2,7); და მეორესა მას – ჩათლისღებითა, რომლითა ნათელ-იღო **ჳან** (ლკ.3,21); ხოლო მესამესა მას – **ჳდგომითა** (მრკ.16,6), რომლისა იქმნა დასაბამ, რომელი-იგი ვითარცა იქმნა **სირმშო მრავალთა ძმათა შორის** (რომ. 8,29), **ეგრეთვე თავს-იდგა სირმშო შესუენებულთა ყოფად** (კოლ.1,18).

3. ორთა მათთვის უკუე შობათა, პირველისა და უკუანაჲსკნელისა, სიტყუაჲ არა ამის ჟამისაჲ არს. ჴოლო საშუვალისა მისთვის, რომელი იგი ან ჩუენდა საჴმარ არს, რომლისა სახელი ნოდებულ არს დღესა ამას **ჴანცხადებისასა**, მისთვის ვთქუათ კეთილად: **ნათლისღებაჲ ბრწყინვალეებაჲ არს სულთაჲ, შეცვალებეჲ ცხორებისაჲ, ამაღლებეჲ გონებისაჲ იმრთისა მიმართ** (1 პეტ.3,21); ნათლისღებაჲ შემწე არს უძღურებისა ჩუენისაჲ; ნათლისღებაჲ აღძურცაჲ არს ჴორცთაჲ და შედგომაჲ სულისაჲ, ზიარებაჲ არს სიტყჳსაჲ, აღმართებაჲ დაცემულებისაჲ, წარმრღუნელი ცოდვათაჲ და მომცემელი ნათლისაჲ, დამჴსნელი ბნელისაჲ.

ჩათლისღებაჲ ეტლი არს, იმრთისა მიმყვანებელი, განსლვაჲ ჴრისტეს თანა, სიმტკიცჳს სარწმუნოებისაჲ, სრულმყოფელი გონებისაჲ, კარი სასუფეველისა ცათაჲსაჲ, მომნიჭებელი ცხორებისაჲ, უჩინომყოფელი მონებისაჲ, განმჴსნელი საკრველთაჲ.

ჩათლისღებისათჳს რად საჴმარ არს მრავლისმეტყუელებეჲ? ნიჭთა მათ იმრთისათა ყოველთავე უკეთესი და უდიდებულესი! ვითარცა წმიდასა წმიდათასა ენოდების, რომელთამე – ჴებაჲ ქებათაჲ, ვითარცა უმტკიცესი და უდიდებულესი, ეგრეთვე ამას, ვინაჲთგან ყოველთავე მათ ნიჭთა, ჩუენდა მონიჭებულ-

\* Corpus Christianorum. Series graeca 58, Corpus Nazianzenum 29, Oratio XL, Leuven, 2007. გვ. 120-316. თარგმანი წა ექვთიმე მთაწმიდელისა.

თა, უმაღლესი არს და უწმიდესი, ამისთვის ნათელ ეწოდების.

4. **თა** არა ესე ოდენ, არამედ ვითარცა **ჩრისტეს**, მომნიჭებელსა ამისსა, მრავალი და თითოფერი სახელი ეწოდების, ეგრეთვე ნიჭსა მას **შისსა**. **წინა** თუ მხიარულებისა მისთვის და სიკეთისა იქმნების ესე (რამეთუ საქმწ, რომელიცა ვის ფრიად უყუარდეს, მრავალთა (ცა სახელთა უწოდეს), გინა თუ სიმრავლემან მან კეთილთა მისთამან მრავალნიცა სახელნი მოატყუნა მას, რამეთუ ეწოდების მას ნიჭ, მადლ, ნათლისღება, საცხებელ, ნათელ, სამოსელ უხრწნელებისა, საბანელ მეორედ შობისა, ბექედ – ყოველივე პატიოსანი საქმწ მისდა სახელ არს.

**ჴოლო** ნიჭ ამისთვის ეწოდების, რამეთუ რომელთა-იგი არარაჲ მიეცეს, პირველ მიეცემის, და მადლ ამისთვის, რამეთუ თანამდებთა მათ მრავალთა თანანადებთასა მიენიჭების, და განმწმედელ ამისთვის, რამეთუ წყალსა მას შინა დაეფლვიან ცოდვანი ჩუენნი, და საცხებელ ამისთვის, რამეთუ სამღვდლო არს და სამეუფო, რამეთუ ესენი მიიღებენ საცხებელსა, ხოლო ნათლისღება – ბრწყინვალეებისათვის მისისა, და სამოსელ, რამეთუ მფარველი არს სირცხვილისა ჩუენისაჲ, და საბანელ კუალად, ვითარცა წარმრლუნელი და აღმვოცელი ბილწებათაჲ, ხოლო ბექედ, ვითარცა დამცველი ჩუენი და სასწაული შეუფისა ჩუენისაჲ. **წმისთვის** უხარის **ჯათა**, ამას ადიდებენ ანგელოზნი თვისებისა მისთვის ბრწყინვალეებისა მისისა, ამისი ჩუენცა გუნებაჲს გალობაჲ, გარნა ჯერისაებრ ვერ ძალ-გვც.

5. **ჩამეთუ** პირველი იგი და უზეშთაესი და თუალთმეუდგამი ნათელი იმერთი არს, რომელსა ვერცა გონებაჲ მისწუთების, ვერცა ენაჲ გამოიტყვს, განმანათლებელი ყოვლისავე სიტყვერისა ბუნებისაჲ; ვითარცა არს ხილულთა შორის მზწ, ესევეითარი არს იგი უხილავთა მათ შორის – რაჲზომცა განვწმდებოდი, უმეტესად და უბრწყინვალესად გუეჩუენების, რაჲზომცა გუეჩუენოს, უმეტესად შევიყუარებთ მას, და რაჲზომცა შევიყუაროთ, უმეტესად გულისწმა-ვჰყოფთ მას. **წვთ** იგი **წავადი** არს მხილველ და მიმწთომელ თავისა **წვსისა** და მცირედ გარეგანთა მიმართ განეფინების. **ჴოლო** ნათელსა მას ვიტყვ, რომელი **შამისა** თანა და **წისა** და **სულისა** **წმიდისა** იხილვების, რომელთა სიმდიდრე არს ერთობაჲ და ერთი

იგი შარავანდელი ბრწყინვალეებისაჲ.

**ჴოლო** მეორე ნათელი არს ანგელოზი, პირველისა მის ნათლისაგან არსებისა მიმღებელი, რომელსა მისა მიმართ ხედვითა და მსახურებითა აქუს განათლებაჲ. **წრა** უწყი, თუ დასისა მისებრ, რომელსა შინა დგეს, მიიღებს განათლებასა, გინა თუ საზომისა მისებრ განათლებისა მიიღებს დგომასა.

**ჴოლო** მესამე ნათელი არს კაცი, რომელიცა გარეგანთა (ცა საცნაურ არს, რამეთუ კაცსა ნათლად უწოდენ ძალისა მისთვის სიტყვს მის, რომელ არს ჩუენ შორის და ჩუენგანნიცა – კუალად იმრთივშუენიერი იგი და იმრთის მიახლებულნი.

**წიცი** სხუაჲცა ნათელი, რომლითა პირმშობაჲ იგი ბნელისაჲ წარიდევნა და განიკუეთა, რომელი დაბადებულ იყო უწინარეს ხილულისა ამის დაბადებულისა. **თა** კუალად სარბიელიცა იგი ვარსკულავთაჲ და **ხეცისა** იგი ბრწყინვალეებაჲ, რომელი ყოველსავე სოფელსა განანათლებს.

6. **ნათელი** იყო პირმშობსა მის კაცისადაცა მიცემული იგი, პირმშოჲ მცნებაჲ (რამეთუ *ნათელ შჯულისა არს მცნებაჲ და რამეთუ ნათელ არიან ბრძანებანი შენნი ქუეყანასა ზედა* – (იგ.6,23; ფს.118,105; ეს.26,9), დაღაცათუ მოშურნე იგი ბნელი მოვიდა და აღასრულა უკეთურებაჲ.

**ნათელი** იგი კუალად სახისაჲ და ზომითი იყო დანერილი იგი **წჯული**, რომელი აჩრდილისა სახედ გამოსახვიდა ჭეშმარიტებასა და საიდუმლოსა დიდისა მის **ნათლისა**სა, ვინაჲთგან პირიცა **შოსესი** ამის მიერ იდიდა. **თა** რაჲთა უმრავლესნი ნათელნი ვაწსენნეთ სიტყუასა ამას შინა ჩუენსა.

*ნათელი იყო, რომელი-იგი ცეცხლისაგან შოსეს ერუენა, რაჲჲამს მაყულოვანსა მას სწუვიდა და არა შესწუვიდა* (გამს.3,2), რაჲთა ბუნებაჲცა იგი აჩუენოს და ძალიცა საცნაურ-ყოს.

*ნათელი იყო, რომელი-იგი სუეტითა მით ცეცხლისაჲთა უძლოდა* **წსრაელსა** (გამს.13,21).

*ნათელი იყო, რომელმან-იგი წლია აღიტაცა ცეცხლისა ეტლითა* (4 მეფ.2,11) და არა შეინუა აღტაცებული იგი.

*ნათელი იყო, რომელი-იგი მწყემსთა ერუენა* (ლკ.2,9), რაჲჲამს-იგი უჲამოჲ ნათელი ჲამიერსა მას შეერთო.

*ნათელი იყო შუენიერებაჲ ვარსკულავისაჲ მის, რომელი მოგუთა* **წეთლემად** მიუძღუა

(მთ.2,9), რადთა შენირონ ძღუენი ჩათლისა მის უზეშთაესისა, ჟომელი ჩუენდა მოვიდა.

*ჩათელი იყო ბრწყინვალეობა იგი იმრთეუბისა, რომელი მთასა ზედა მონაფეთა ერუენა, უზეშთაესი ხილვისაცა (მთ.17,2).*

*ჩათელი იყო ხილვა იგი, რომელი სავლეს ერუენა (საქმ. 9,3) და წყლულება იგი თუალთა, რომელმან წყლულება იგი და სიბნელე სულისა განკურნა.*

*ჩათელი არს კუალად მერმისა იგი ბრწყინვალეობა, რომელი აქა განწმედილთა ზედა მოეფინების, რაჟამს-იგი ბრწყინვიდენ მართალნი ვითარცა მზს (მთ13,43; სიბძ.სოლ.3,7), რომელთა შორის დგეს იმერთი შორის ღმერთთა და შუფუტ მუფუფეთა და განჰყოფდეს და მისცემდეს პატივთა მათ საუკუნოჲსა მის ნეტარებისათა.*

ჩათელ არს კუალად ამათ ყოველთაგან კიდე ბრწყინვალეობა იგი ჩათლისღებისა, რომლისათჳს ან არს სიტყუად ესე ჩუენი, საქმს დიდი და საკრველი, რომელსა შინა არს საიდუმლო იგი ცხორებისა ჩუენისა.

7. ჟამეთუ ვინაათგან ყოლადვე არა შეცოდება მხოლოჲსა იმრთისა არს, პირველისა მის და შეუზავებელისა ბუნებისა, რამეთუ ბუნება შისი მარტივ არს, სავსე მშვდობითა შეუშფოთველითა. შინდობილ ვარ თქუამად, ვითარმედ ანგელოზთაცა ბუნებისა არს უცოდველობა მახლობლობისათჳს იმრთისა. ღოლო ცოდვა კაცობრივი არს და ბუნებისა მის მიწისა თანა შერეულისა, რამეთუ შერევნად დასაბამი არს განყოფილებისა.

შმისთჳს არა ჯერ-იჩინა შეუფემან, რათამცა შეუნვენელად დაუტევა Ⴤკსი იგი დაბადებული და არცა უგულებელს-ყო, იხილა რად, ვითარმედ წარწყმედობდა იგი შისგან განშორებითა. წრამედ ვითარცა იგი არაარსისაგან არსად მოიყვანა, ეგრეთვე არსებად მოსრულნი ესე კუალად მეორედ დაგუბადნა დაბადებითა მით უმაღლესითა და პირველისა მის უაღრესითა, რომელი-იგი ახლად მოსრულთა მათთჳს არს ბეჭედ, ხოლო ჰასაკითა სრულთა მათთჳს არს მადლცა, და უკეთურებისა მიერ ვნებულისა მის – ხატისა განახლება, რადთა არა სასონარკუეთილებისა მიერ უბოროტეს ვიქმნეთ და მარადის უდარესისა მიმართ მივიწოდით და სრულიად გარეგან კეთილისა და სარწმუნოებათაჲსა ვიქმნეთ სასონარკუეთილებისა მიერ და ვითარცა

წერილ არს, *არა შთავადრდეთ სიღრმესა მას ბოროტთასა და უგულებელს-ყოთ დაცემა იგი (იგ.18,3),*

წრამედ ვითარცა-იგი შორთა გზათა მავალთა განსუენებითა მით ღამისათა შრომასა მათსა ნუგეშინის-სციან და გან-რაფ-თენის, უძლიერესად ვიდოდიან, ეგრეთვე ჩუენ შემდგომი ესე გზად ჩუენი სურვიელად და ვითარცა ახლად შემოსრულნი სლვად, ეგრეთ ვიდოდით: ესე არს უკუე ძალი იგი და მადლი ჩათლისღებისა, რომელი-იგი არა წყლითრღუნასა მოანვეს სოფელსა ზედა, ვითარცა პირველ, არამედ თითოეულისა ცოდვათა განწმედს და სრულიად წარჰრღუნის და უჩინო-ჰყოფს ბილნებათა მათ და არანმიდებათა, უკეთურებისა მიერ სულსა ზედა მონვენულთა.

8. შინაათგან უკუე ორკერძოვე შეზავებულ ვართ ჩუენ: სულისა მიერ და ჳორცთა, და ერთისა მის ბუნება ხილულ არს, ხოლო მეორისა მის – უხილავ, ამისთჳს ორკერძო არს განწმედაცა იგი ჩუენი: სულისა მიერ და წყლისა. შა ერთი იგი ხილულად და ჳორციელად მოგუეცემის, ხოლო მეორე იგი უჳორცოდ და უხილავად მოვალს.

შა ერთი იგი სახს არს, ხოლო მეორე იგი – ჭეშმარიტებად და სიღრმეთა მათ სულისათა განწმედელი, რომელი-იგი არს შემწე პირველისა მის შობისა. შა ამისთჳს გუყოფს ჩუენ დაძუელებულთა წილ ახალ და იმრთივშუენიერ უშუერებისა ამის წილ, რომელ ან არს ჩუენ ზედა, თვნიერ ცეცხლისა განგუნმედს და თვნიერ შემუსრვისა აღგუაშენებს.

შა რადთა მოკლედ ვთქუა, ესრეთ ჯერ-არს გულისწმის-ყოფად: ძალი იგი ჩათლისღებისა, ვითარმედ აღთქუმად არს იმრთისა მიმართ წმიდისა და უაღრესისა ცხორებისა და დატევაებად პირველისა მის. შა ამისთჳს გჳვს ჩუენ უმეტესი შიში და უმეტესითა კრძალვითა დაცვა სულთა ჩუენთა (იგ.4,23), რადთა არა ვიპოვნეთ მტყუვარ აღთქუმისა მის ჩუენისა.

ჟამეთუ უკუეთუ აღთქუმათა მათ, რომელთა კაცნი ურთიერთას ჰყოფენ, დაამტკიცებს იმერთი შორის მათსა, რად შემოიღონ სახელი მისი, ვითარ არა უმეტესი სასჯელი მოიწიოს ჩუენ ზედა, რაჟამს აღთქუმათა მათ, რომელნი-იგი მას თავადსა თვთ აღუთქუენით, გარდამავალ ვიპოვნეთ და არა სხუათა ოდენ ცოდვათათჳს, არამედ თვთ ტყუვილისა მისთჳს ვიყვნეთ დასასჯელ?! ვინაათგან იგი არა არს

მეორე მეორედ შობად და განახლებად და პირველსავე მას გონებასა მოსლვად, დაღაცათუ ვეძიებდეთ მას მრავლითა სულთქუმიითა და ცრემლითა, რომლისა განკურნებად წყლულე-ბათა მათგან ცოდვისათა იქმნების შრომით, ვითარცა მე ვიტყვ და გულისწმა-ვჰყოფ (რამეთუ მოვალს განკურნებად და კუალად გურნამს, უკუეთუ კულა სასწაულნიცამცა იგი წყლულებათანი სრულიად უჩინო-ვეყნეთ, საყუარელ და სანადელ არს ესე ჩემდა, რამეთუ მეცა მიწმს კაცთმოყუარებად და სინანული).

სარნა რომელ მეორე ნათლისღებად არღარა არს, არამედ ერთი იგი მოცემულ არს, რომელი-იგი ზოგად არს ყოველთათვის და უშრომელად და სწორად მონათა და უფალთა, გლახაკთა და მდიდართა, მდაბალთა და მაღალთა, თანამდებთა და არათანამდებთა, ვითარცა სული ჰაერისა და მოფენად ნათლისა და შეცვალებანი ჟამთანი და შუენიერებად დაბადებულთა, რომელნი-ესე სწორად საშუებელად მოცემულ არიან ყოველთადა და სისწორე ესე სარწმუნოებისა. შა ვითარცა-ესე ყოველნი ყოველთა კაცთადა ზოგად და სწორად მოცემულ არიან და უშრომელად, ეგრეთვე მაღლი იგი ნათლისღებისა.

9. ღოროტ არს უკუე კურნებისა წილ უჭირველისა საჭიროდსა მის ძიებად და განგდებად თავთა თვსთაგან მაღლი იგი წყალობისა და თანამდებ სატანჯველისა ყოფად, ძნელ არს სწორის-სწორად ცოდვათადა ყოფად კეთილთა. ჟამეთუ რადზომი ცრემლი დავსთხიოთ ჩუენ, რადამცა შეესწორა წყაროსა მას ნათლისღებისასა, ანუ ვინ არს თავსმდები ჩუენი, ანუ ელის სიკუდილი სინანულსა ჩუენსა და არა დამძიმებულთა ტვრთითა მიგყყვანებს სასჯელად და გკვმდეს ჩუენ გამოწურვებად მერმისა მის ცეცხლისაგან?!

*ჩუუკუე შენ ევედრო შეუფესა, კეთილი ეგე და სახიერი მუშაკი, რადთა ჯერეთ ჰრიდოს ლელუსა მას და არა მოჰკუეთოს უნაყოფოებისათვის მისისა, არამედ რადთა შეგინდოს დასხმად სკორისა (ლკ.13,8), ცრემლთა და სულთქუმათა, ჳმელსა ზედა წოლასა, მღვდარებასა, დამდაბლებასა სულისა და ჳორცთა, აღსაარებისა მიერ და შრომათა და მრავალთა სინანულისა.*

წრამედ არა უწყი, თუმცა ჰრიდა მას შეუფემან ვითარცა განმრყუნელსა ადგილისასა და ვითარმედ სხუასაცა უწმს კაცთმოყუარებად

და უძკრეს იქმნების სულგრძელებისაგან. *შავეფლნეთ უკუე ჳრისტეს თანა ნათლისღებისა მიერ, რადთა შის თანაცა აღვდგეთ; შთავჯდეთ შის თანა, რადთა შის თანაცა აღვმადლდეთ; აღვიდეთ შის თანა, რადთა შის თანაცა ვიდიდნეთ (რომ.6,4).*

10. *აკუეთუ მოგიჯდეს შენ შემდგომად ნათლისღებისა მდევარი იგი ნათლისა და გამომცდელი (რამეთუ მოგიჯდებისცა, ვინათგან სიტყუასაცა და იმერთსა ჩემსა მოუწდა საბურველისა მისთვის ჳორცთადა, დაფარულსა მას ნათელსა ხილულისა მისთვის), დაღაცათუ შენ მოგიჯდეს, გაქუს საჭურველი, რომლითა სძლო.*

*ჩინა-ალუდეგ წყლითა მით, წინა-ალუდეგ სულითა მით, რომლისა მიერ ყოველნივე ისარნი, განწურვებულნი მტერისანი, დაშრტენ (ეფ.6,16). ჟამეთუ სული ეგე, მოცემული შენდა, დაღაცათუ სულ არს, არამედ შემმუსრველ არს მათთა (ჳ მეფ.19,11); წყალი ეგე, დაღაცათუ წყალ არს, არამედ დამშრეტელ არს ცეცხლისა.*

*აკუეთუ საწმრითა ჳორცთადათა გებრძოდის (რამეთუ იგი იკადრა), და გეტყოდის, რადთა ქვანი პურად გარდააქცინე და შიმშილითა ზედა-მოგიჯდეს (მთ.4,3), ნუ უმეცარ ხარ მისთა მათ მანქანებათა, ასწავე, რომელი არღა უსწავიეს სიტყუად იგი ცხორებისა და წინა-ალუდგინე პური იგი, რომელი მოუცემიეს ზეცით ცხორებად სოფლისა (ინ.6,33; მთ.4,4).*

*აკუეთუ ზუაობით გებრძოდის შენ (რამეთუ იგიცა აღიყვანა ფრთესა ზედა ტადრისასა და ეტყოდა: შთაიგდე თავი შენი ქუე გამოსაცხადებელად იმრთიებისა), ნუ დაეცემი შენ სიმაღლისა მიერ (მთ.4,5-6). აკუეთუ ამითა იძლიო, არცა ამას ზედა ოდენ კმა-იყოს, რამეთუ უძღებ არს იგი, ყოველსავე ზედა მიინევის და ინყებს მიზეზითა კეთილისადათა, ხოლო აღასრულებს ბოროტად.*

*უსე არს სახწ ბრძოლისა მისისა, არამედ ჩერილთაცა გამოცდილებად აქუს ავაზაკსა მას. შუნ იტყოდა, ვითარმედ წერილ არს პური-სათვის, რად-იგი წერილ არს აქა. შა კუალად, ვითარმედ წერილ არს ანგელოზთათვის, რამეთუ ანგელოზთა შისთა უბრძანებიეს შენთვის და ჳელითა მათითა აღვიპყრან, რადთა არა წარსცე ქვასა ფერჯი შენი (ფს.90,11-12; მთ.4,6). ჳ მომპოვნებელო ბოროტისაო, ვითარ შემდგომი იგი დაიდუმე, რამეთუ კეთილად უწყი მე, დაღაცათუ შენ არა სთქუა, ვითარმედ შენ ას-*

პიტსა და იქედნესა ზედა ვიდოდი და დათრ-  
გუნო შენ ლომი და ვეშაპი (ფს.90,13), გუელ-  
თა ზედა და ღრიაკალთა ვიდოდი (ლკ.10,19),  
შეჭურვილი ძალითა სამებისადათა.

აკუეთუ უძღებებთა გებრძოდის და გი-  
ჩუენებდეს ყოველთა სუფევათა და საშუე-  
ბელთა, ვითარმცა მისნი იყვნეს წამსა შინა  
თუალისასა, და გეტყოდის, ვითარმედ: «თაყუ-  
ანის-მეც შენ», ვითარცა დავრდომილი გლახა-  
კი უგულებელს-ყავ. **წრქუ** მინდობითა ბექდი-  
სა მის, რომლითა დაბექდულ ხარ, ვითარმედ:  
«ხატი ვარ მე იმრთისა, არა დაცემულ ვარ  
დიდებისაგან ხეცათაჲსა, ვითარ-იგი შენ.

**ჩრისტე** შემომოსია, **ჩრისტედ** შეცვალებულ  
ვარ ნათლისღებისა მიერ, შენ მე თაყუ-  
ანის-მეც!» ნარვიდეს იგი სირცხვლეული და  
ძლეული ამათ სიტყუათაგან უეჭუელად,  
ვითარცა-იგი **ჩრისტეს**გან, პირველისა მის  
წათლისა, ეგრეთვე მის მიერ განათლებულთა-  
გან. **უსევითართა** საქმეთა მიანიჭებს საბანე-  
ლი იგი, რომელთა გულისწმა-ყონ ძალი მისი,  
ესევითარსა ტაბლასა დაუდგამს კეთილად  
მშიერთა მათ.

11. **წათელ-ვილოთ** უკუე, რაათა ვსძლოთ!  
მოვილოთ წყალი იგი ნათლისღებისა, საპ-  
კურებელისა უწმიდესი, სისხლისა მის **ჰჯულის**-  
სა უზეშთაესი, *ნაცრისა დიაკეულთაჲსა უპატი-  
ოსნესი, რომლითა აპკურებდეს შეგინებულთა.*  
**შა აქუნდა** მას **წარმავალი ჯორცთა** განწმედაჲ  
და **არასრული ცოდვათა** შენდობაჲ, **რამეთუ**  
*რაღლა ჯერ-იყო განწმედაჲ ერთგ ზის განწმე-  
დილთაჲ მათ?! (ებრ.19,2-4).*

**წათელ-ვილოთ** და შევიწინანეთ დღეს ცოდ-  
ვანი ჩუენნი, რაათა არა ხვალე ვიგუემნეთ;  
და ნუმცა ვივლტით კეთილისაგან, ვითარცა  
ბოროტისა; ნუცამცა მოველით უმეტესთა ბო-  
როტთა ქმნად, რაათამცა უმეტესი შეგუენდო;  
ნუმცა ვიქმნებით **ჩრისტეს**მოფარდულ და  
**ჩრისტეს**მოვაჭრე; ნუცა დავიკრებთ ჩუენ ზე-  
და ტვრთსა, უმეტეს ძალისა ჩუენისა, რაათა  
არა ვითარცა ნავი, დამძიმებული ტვრთითა,  
დავინთქნეთ და მადლი იგი წარვწყმიდოთ და  
მის წილ, რომელსა ფრიადსა ვესავდით, ყოვე-  
ლივე წარვდეს!

**ჴიდრელა** **აფალ** გონებისა შენისა ხარ, მო-  
უწედ მადლსა მას და ნიჭსა მოქცევად იმრთისა  
და სინანულად; ვიდრე არღა მოუძღურებულ  
არიან ჯორცნი შენნი და გონებაჲცა, ანუ სხუ-  
ათადა საგონებელ ხარ, ვითარცა განსრული

გონებისაგან შენისა, დალაცათუ შენ არა გან-  
სრულ იყო; ვიდრე არა სხუათა ზედა არს შენი  
კეთილი, არამედ თვთ შენ ხარ **აფალ** შენისა  
ცხორებისა;

5 **ჴიდრე** არღარა დრკუ არს ენაჲ შენი და  
განწმელ და არცა დაშქირდებიან სიტყუანი იგი  
საიდუმლოჲსანი, რაათა არა მრავალსა ვიტყო-  
დი; ვიდრელა ძალ-გვც მოქცევად იმრთისა არა  
იჭვთ, არამედ ქეშმარიტად, არა საწყალობე-  
10 ლად, არამედ სანატრელად;

**ჴიდრელა** საცნაურ არს შენდა ნიჭი იგი და  
არა იჭუეულ, და მადლი იგი სიღრმედ სულისა  
მიწნევის და არა ჯორცნი ოდენ დასაფლველად  
განიბანებიან; ვიდრე არღარა დათხეულ არიან  
15 შენ ზედა ცრემლნი, სიკუდილისა სასწაულნი,  
და იგინიცა ნუუკუე თუალთა წინაშე შენთა  
საჩუენებელად დათხეულნი და მეუღლე და  
შვილნი განსლვასა მას შენსა გოდებდიან და  
ეძიებდიან სიტყუათა წარგზავნისათა;

20 **ჴიდრე** არღარა მოსრულ არს შენდა მკურ-  
ნალი უმეცარი და მოგცემს ჟამთა ცხორები-  
სათა, რომელთა არა **აფალ** არს და წამისყ-  
ოფითა დაამტკიცებნ ცხორებასა და ბრძნობნ  
სენისა მისთვს შემდგომად სიკუდილისა, ანუ  
25 თუ ფასსა დაამძიმებნ მირიდებითა, ანუ სასო-  
წარკუეთილებასა მოასწავებნ; ვიდრელა არა  
არს შენ ზედა შფოთი ნათლისმცემელისაჲ  
და მეანდერძისაჲ, რაჟამს ერთი იგი სიტყუ-  
ას-უგებნ, რაათა წარგზავნოს, და მეორე იგი –  
30 რაათა დაინეროს სამკვდრებელი შენი, რამეთუ  
ორსავე ჟამი იგი არა შეგინდობნ ყოფად.

12. **ჴად** თავქედსა ელი ქველისმოქმედად  
შენდა და არა იმერთსა? რად ჟამსა და არა  
გულისსიტყუასა? რად მეგობარსა, განმზრახ-  
სა ბოროტისასა, და არა სურვილსა ცხორები-  
სასა? რად არა ვიდრელა ჴელმწიფებასა შინა  
თავისა თვისასა ხარ, მოხუალ სინანულად,  
არამედ მოელი ჟამსა მას ჴირისასა? რად არა  
ინანი, ვიდრელა თავისუფალ ხარ შენ, არამედ  
40 მოელი იწროებასა მას დიდსა? რად სხვსაგან  
გნებავს ცნობაჲ სიკუდილისა შენისაჲ და არა  
ვითარმცა თუალთა წინაშე დგა, ესრეთ იგ-  
ონებ? რად ეძიებ წამალთა, არად სარგებელ-  
თა? რად მოელი ოფლსა სასჯელისასა, მო-  
45 რაჲ-ინიოს წარმყვანებელი შენი, რაათამცა  
მაშინ შეინანენ ცოდვანი შენნი?

**ჴავი** შენი უწინარეს დიდისა მის ჴირისა  
განკურნე, თავი შენი შეინყალე, ვიდრელა ძალ-  
გიც განკურნებაჲ თავისა თვისაჲ, სუ წამალი

იგი ჭეშმარიტისა მის ცხორებისაჲ; ვიდრე-  
ლა ქართა კეთილთა და მყუდროთა ხუალ  
ზლუასა შინა, შეიშინე დანთქმისაგან და არა  
დაინთქა შეწევნითა მით კრძალვისაჲთა.

სახარულ იყავნ ნიჭი იგი და ნუ საგლოფ-  
ელ, შეემატენ ტალანტსა მას და ნუ დაიფლ-  
ვინ. წარწედინ ჟამი რავდენიმე შორის მადლისა  
მის და სიკუდილისა, რათა არა აღივცენენ  
ოდენ ბოროტნი იგი წერილნი, არამედ რა-  
თა კეთილნიცა დაინერნენ, რათა არა მადლი  
ოდენ გაქუნდეს, არამედ მოსაგებელიცა.

ქათა არა ცეცხლისაგან ოდენ განერე,  
არამედ დიდებაჲცა დაიმკვდრო, რომელსა  
მოგანიჭებს კეთილთა საქმეთა აღსრულებაჲ,  
რამეთუ სულმოკლეთათჳს დიდ არს სატან-  
ჯველთაგანცა განრინებაჲ, ხოლო სულგრძელ-  
თათჳს – პოვნაჲ მოსაგებელისაჲ.

13. ქამეთუ სამნი საზომნი ვიცნი მე ცხ-  
ოვნებულთანი: მონებაჲ და მუშაკობაჲ და  
ძეობაჲ. ოკუეთუ მონაჲ ხარ, წყლულებათაგან  
გემინოდენ, უკუეთუ მიზდებული ხარ, ის-  
წრაფე სასყიდლისა მიღებაჲ, უკუეთუ ამათ-  
სა უზეშთაჲს და ძე ხარ, ვითარცა მამისაგან  
შეიკდომე; ქმენ კეთილი, რამეთუ კეთილ არს  
მორჩილებაჲ მამისაჲ, დაღაცათუ საქმეც იგი  
შენდა არად კეთილ იყოს.

უსოდენ სასყიდელ არს მორჩილებაჲ მამისაჲ,  
რომლისა მცნებათა ნუმცა უგულულებელს-ვჰყ-  
ოფთ ჩუენ! ვითარ ბოროტ არს საწმართა  
წორციელთა მოტაცებისათჳს მოსწრაფებაჲ,  
ხოლო სიმრთელისათჳს სულიერისა – დღი-  
თი-დღე დროებაჲ და არა სწრაფაჲ; და წორც-  
თა განწმენდაჲ, ხოლო სინმიდესა სულისასა –  
უდებ-ყოფაჲ;

თა წორციელისა მონებისაგან თავისუ-  
ფლებისა ძიებაჲ, ხოლო ზეცისა აზნაურებისა  
მიმართ – არა სურვილი; და დიდებისა ამისთჳს  
წარმავალისა წადიერებაჲ, ხოლო დიდებისა მის  
წარუვალისა – ყოლადვე არა ზრუნვაჲ; და სხ-  
უათა კეთილის-ყოფისათჳს მზა-ყოფაჲ, ხოლო  
თავისა თჳსისათჳს – კეთილისა არა ნებებაჲ.

თა უკუეთუმცა სასყიდელი იყო საფასითა  
კეთილი ესევითარი, ყოლადვემცა არა ჰრიდე  
საფასესა სასყიდლაჲ მისა. წინაფთგან უკუე  
უსასყიდლოდ წინამდებარე არს შენდა კაცთ-  
მოყუარებაჲ იმრთისაჲ, უკუეთუ ოდენ შენ ინე-  
ბო, უგულულებელს ჰყოფა განმზადებულსა მას  
კეთილსა? ყოველივე ჟამი კეთილ არს შენდა  
მოქცევაჲ იმრთისა, განბანად და სინანულად,

რამეთუ ყოველივე ჟამი სიკუდილისაგან საშიშ  
არს.

სავლეს თანა გიქადაგებ დიდისა მის წმისა:  
*აჰა ესერა ან არს ჟამი შეწყნარებისაჲ, აჰა ეს-  
ერა ან არს დღეც ცხორებისაჲ* (2 კორ. 6, 2). ღოლო  
არა ერთსა ჟამსა, არამედ ყოველსავე ჟამად  
ცხორებისა იტყვს. *თა კუალად: განიღვიძე, რო-  
მელსა-ეგე გძინავს და აღდეგ მყუდრეთით და  
გამოგიბრწყინდეს ჴრისტე* (ეფ. 5, 14) და *დაჰ-  
წნას ლამე იგი ცოდვათაჲ, რამეთუ ლამესა  
შინა არს სასოებაჲ ბოროტი* (ეს. 28, 19; 38, 13),  
ვითარცა **საია** იტყვს წინაფსწარმეტყუელი, და  
განთიად შეჰყრობაჲ უმჯობეს არს.

14. **თასთესე**, ოდეს ჟამი იყოს, და შეჰკრებდ  
და განაღებდ საუნჯეთა თჳსსა ჟამსა; დაჰწერ-  
გევდ თჳსსა ჟამსა და მოისთულებდ ტევანთა  
მწიფეთა; შევიდოდე ნავად მინდობითა ზაფ-  
ხულისაჲთა და კუალად აღმოითრევედ ნავსა  
ზღვთ მოსლვასა ზამთრისასა და განძვნებასა  
ზღვსასა. *სყავნ შენდა ჟამი ბრძოლისაჲცა და  
მშკდობისაჲცა, და ქორწილისაჲ და არა ქორ-  
წილისაჲ, სიყუარულისაჲ და სიძულვილისაჲ.*

ოკუეთუ ესრე რადმე *ჯერ-იყოს და ყო-  
ვლისავე საქმისა ჟამი იყავნ* (ეკლ. 3, 1-8), სიტყვ-  
საებრ **სოლომონისა**, რამეთუ სარწმუნო არს  
და სარგებელ სწავლაჲ იგი. ღოლო ცხორებისა  
მიმართ შენისა მარადის მოსწრაფე იყავ და  
ყოველივე ჟამი-ჟამ იყავნ შენდა ნათლისღე-  
ბისა და სინანულისაჲ.

ოკუეთუ კულა მარადის დღესისა დღესა  
თანაწარჰჳდებოდი და ხვალისასა მოელო-  
დი სინანულად, მცირედ-მცირედ დროებითა  
უკეთურისა მის მიერ წარიპარვი შენ, რამეთუ  
ესე საქმეც მისია, რომელი მარადის გეტყვს  
შენ, ვითარმედ: *«მომეც მე დღეც ესე, რომელ-  
სა შინა ხარ და იმერთსა – მომავალი იგი; მე  
მომეც სიჭაბუკეც და იმერთსა – სიბერეც; მე  
მომცენ გულისთქუმანი, ხოლო მას შეწყნარე,  
რაჟამს-იგი არად საწმარ იყო»*. წხილე უკუე,  
რავდენნი ლელვანი არიან გარემო შენსა, რა-  
ვდენნი არიან მოულოდებელნი იგი დაცემანი!

ქამეთუ ანუ ბრძოლამან წარგწყმიდის, ანუ  
ძრვამან დაგფარის, ანუ ზღუამან მიგიდის,  
ანუ მწეცმან წარგიტაცის, ანუ სენმან მოგა-  
კუდინის, ანუ თუ ნაფშუენმანცა პურისამან,  
სამშვნველსა შთასრულმან, უნდომან მან და  
წულილმან (რამეთუ რაჲ უადვილეს არს სი-  
კუდილსა კაცისასა, დაღაცათუ ხატსა მაგას  
ზედა, რომელი მოცემულ არს, ჰზუაობ?!).

ქამეთუ ანუ თუ სასუმლისა მიერ გარდარუ-  
ელისა, ანუ თუ წარტაცებითა ქართაფთა, ანუ  
თუ წამლისა მიერ ბოროტისა, განგებულებით  
მონვენულისა, გინა თუ კეთილისა წილ იქმნის  
სასიკუდინო, ანუ მსაჯულისა მიერ უწყალო-  
სა, ანუ მტარვალისა ბოროტისა, ანუ სხვსა  
რახსაგან-მე ესევეთარისა მოიწიის მეყსა შინა  
სიკუდილი?

15. **აკუეთუ** კულა უსწრო და შეზღუდო  
თავი შენი ბეჭდითა და მოხვდე სინანულად  
და შემწე იგი კეთილი და მტკიცე მოიგო და  
სასწაული იგი საცხებელისა მის და სულისა  
მიიღო, ვითარცა **უსრელმან** პირველ სისხლ-  
ითა მით დამცველითა პირმშოთაგან, თუ ვი-  
თარი კეთილი მოიწიოს შენ ზედა!

ღეგათა **სოლომონისთა** ისმინე: *უკუეთუ  
შეჯდე, უშიშ იყო და უკუეთუ გეძინოს, ტკბილად  
დაიძინო* (იგ.3,24). **წავითის** მიერ იხარებდ, ვი-  
თარმედ: *არა გეშინოდის შენ შიშისაგან ღამი-  
სა, არცა ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი*  
(ფს.90,5-6).

სე საქმე, უკუეთუ ცოცხალ იყო, დიდ არს  
შენდა საჭურველ, რამეთუ ცხოვარი დაბეჭ-  
დული ვერ ადრე მოიპარვის, ხოლო რომელსა  
ზედა არა იყოს სასწაული, წარსაპარველად  
ადვილ არს; და კუალად უკუეთუ წარხვდე  
ამიერ სოფლით, თანამავალ კეთილ-გეყოს  
შენ, სამოსლისა უშუენიერეს, ოქროსა უპა-  
ტიოსნეს, სამარისა შემკულისა უდიდებულეს,  
სამკაულთა მათ მიწისაგანთა უკეთეს, შეს-  
წირავთა მათ სოფლისათა უზეშთაეს, რო-  
მელთა-იგი მკუდართა მკუდარნი მიანიჭებენ,  
რომელთა შეჯულად აქუს ჩუეულებად.

ყოველივე არარად შეჰრაცხე, ყოველსავე  
თანანარჰვე: საყდართა, საწმართა, მონაგებ-  
თა – ყოველსავე ბრწყინვალეობასა სოფლისასა.  
**წა** ისწრაფე, რაფთა კეთილსა შინა აღასრულო  
ცხორება შენი, ნუმცა დაგჭირდების საქმეთა-  
გან, რომელნი მოგცნა იმერთმან შემწედ ცხ-  
ორებისა შენისა.

16. **წრამედ** გეშინის-ა, ნუუკუე განჰხრნ-  
ნა შენ მადლი იგი და ამისთვს არა მიიღებ-ა  
განწმედასა, რამეთუ ადროებ, ხოლო მეორე  
განწმედად არღარა არს? რად არს უკუე, არა გე-  
შინის-ა, ნუუკუე გეწიოს ჟამი ბოროტი და წარ-  
სწყმდე და უზეშთაესი იგი ყოვლისავე მონაგე-  
ბისა, ჟრისტე, მოგელოს შენ, ანუ ამისთვს  
ჟრისტიანე ყოფისაგანცა ივლტოდი-ა? დასცხ-  
ერ, რომელი-ევე ამას იგონებ: არა გონებისა

მრთელისა არს შიში ეგე, არამედ ცოფისა და  
სულელისა არს გულისსიტყუად ეგე.

ჲ უშიში ეგე მოშიშებად, უკუეთუ ჯერ-არს  
ესრეთ თქუმად! ჰ ღონენი იგი უკეთურისანი!  
ჭეშმარიტად ბნელ არს და ნათელსა ირემებს!  
რაჟამს ცხადად ბრძოლითა ვერად ყოს, მერმე  
ფარულად ჰბრძავს და იქმნების განმზრახ  
კეთილ, რომელი-იგი არს ბოროტ, რაფთა ერ-  
თითა რაფთმე ღონითა გუძლიოს და ვერ გან-  
ვერნეთ მისთა მათ ღონეთა. ჴითარცა-იგი  
აქაცა იქმს, რამეთუ ცხადად ნათლისღებისა  
დატევებასა ვერ დაგუარწმუნებს.

წმისთვს შიშითა მით კრძალულებისაფთა,  
ტყუვილითა ჰნებაეს და ჭირვებად მისი შენ-  
და, რაფთამცა რომლისაგან გეშინის, მას შინა  
შთაჰვარდი შიშისა მის მიერ და ვიდრელა განხ-  
რწნისა მის ნიჭისა გეშინოდის, თვთ მის ნიჭის-  
აგან დაეცე. **წრამედ** იგი ესევეთარი არს და  
არაოდეს დასცხრების თვისსა მის ორკეცო-  
ბისაგან, ვიდრემდის გუხედვიდეს ჩუენ ხეცად  
აღმავალად, ვინაჲ-იგი გარდამოვარდა.

ჲოლო შენ, კაცო იმრთისაო, გულისწმა-  
ყავ წინააღმდგომისა იგი ბოროტი ზრახვად,  
რამეთუ დიდთა საქმეთათვს არს ბრძოლად  
მისი. ჩუ მიიღებ განმზრახად მტერსა შენსა,  
ნუ უგულებელს-ჰყოფ მორწმუნე-ყოფასა!  
ვიდრემდე კათაკუმეველი იყო, წინაშე კართა  
ეკლესიათა მდგომარე ხარ, წინაგან ჯერ-არს  
შენდა შესლვად, განვლად ეზოფსა და ხილვად  
წმიდათა მათ, და ჩმიდასა შინა წმიდათასა  
შესლვად და წინაშე ჩმიდისა სამებისა წარდ-  
გომად.

შიდ არიან საქმენი, რომელთათვს გებრძ-  
ვის შენ. წმისთვსცა დიდი კრძალულებად გიწმს  
შენ. წინააღუდეგ მას ფართითა მით სარწმუნოე-  
ბისაფთა! ეშინის მას, გიხილოს რად, ვითარმედ  
საჭურველითა ებრძვი. წმისთვს ისწრაფის,  
რაფთამცა შიშუელ-გყო მადლისა მისგან, რაფ-  
თამცა შიშუელი და უჭურველი გპოვა და ადრე  
წარგიტაცა. ყოველსავე საქმესა შინა იპოების  
მისი მანქანებად, ყოველსავე ჰასაკსა ებრძვის,  
არამედ ყოველსა შინა წინა-აღუდეგ!

17. **აკუეთუ** ჭაბუკ ხარ, აღდეგ ბრძოლად  
საჭურველითა მით, მწედართა თანა იმრთი-  
სათა აღირაცხე, ებრძოლე გოლიათს, მიიხუენ  
ათასეულნი იგი, გინა ბევრეულნი! და ესრეთ  
წარჰჰადენ დღენი იგი ჰასაკისა მის შენისანი  
და ნუ უტევებ სიჭაბუკესა შენსა დაჭნობად  
ცოდვათა შინა.

აკუეთო მოხუცებულ ხარ და მიახლებულ საზღვარსა მას ცხორებისასა, მწეცთაგან შენთა შეიკდიმე, ეც მათ სიბრძნე, რომელსა გთხოვენ, აწინდელისა მაგის უძღურებისა ნილ. შცირეთა მაგათ დღეთა შეენიე, არწმუნე სიბერესა განწმედად! რად გეშინის საქმეთაგან სიჭაბუკისათა სიღრმესა შინა სიბერისასა და უკუანაღსკენელთა მათ სულთქუმათა შინა?

წნუ შენცა ელი, რადთამცა მკუდარი განიბანე, რაჟამს-იგი არავისდა სანყალობელ იყო, არამედ ყოველთა საძულელ? ანუ შენცა გსურის ნეშტთა მათთვს გულისთქუმათადას, რომელი-ეგე ხარ ნეშტ ცხორებისა? ბოროტ არს ჰასაკისა მოუძღურებად და ბოროტისა ბილწებისა არა მოუძღურებად, ანუ მას შინა ყოფად, ანუ მოლოდებად მისი და ამისთვს დროებად ნათლისღებისა და სინანულისა.

ჴუალად უკუეთო ჩჩვლი ყრმა არს შენდა, ნუცა ჰპოებს უკეთურებად ჟამსა! სიჩოთგან განწმდინ, საშოთგან დედისაით შეიწირენ სულისა ჩმიდისა! ანუ გეშინის შენ ბეჭდისა მისგან უძღურებისათვს ბუნებისა? მსგავს ხარ შენ დედისა სულმოკლისა და მცირედ მორწმუნისა.

*წრამედ წნა უწინარეს შობისაცა სამოელისა აღუთქუა იგი იმერთსა და იშვა რად, მეყსეულად მღდელ-ყო იგი და მღდელობისა სამოსელსა შინა აღზარდა* (1 მეფ.1,11; 1,25-27) და არა შეშინდა იგი კაცობრივთა საქმეთაგან, არამედ იმერთი ჰრწმენა. წრად საწმარ არიან შენდა მრავალფერნი იგი საგრძნებლნი ყრმისა მისთვს, რომელთა თანა შევალს ეშმაკი, არამედ მიეც მას მცველად სამებად, დიდი იგი და კეთილი მცველი!

18. ჴუალად უკუეთო ქალწულებასა ილუნი, სინმიდისა მიერ დაიბეჭდე იგი! გაქუნდინ ზიარად და თანამზრახველად ცხორებისა შენისა, იგი ჰფარევიდინ საქმესა შენსა და სიტყუასა და ყოველსავე ასოსა და ყოველსავე აღძრვასა და ყოველსავე საცნობელსა! *პატივ-ეც მას, რადთა შეგამკოს, რადთა დაარქუას თავსა შენსა გვრგვნი ოქროსად და გვრგვნითა საშუებელისაითა ჴელი აღგიპყრას შენ!* (ეკლ.32,3; იგ.4,9). აკუეთო ქორწინებითა შეკრულ ხარ, შეიკარ ბეჭდითა ამითცა! ესე მოიგე მცველად სინმიდისა, რამეთუ მრავალთა მცველთა უძლიერეს არს ესე.

ჴოლო უკუეთო არა დაგიქორწინებიეს, ნუცა ესრე გეშინის სრულყოფისაგან! წმიდა

ხარ შემდგომად ქორწინებისაცა – ჩემი იყავნ ღელვად ესე, მე ვიყო ამისა შემაერთებელ, რამეთუ არა თუ ვინაფთგან ქალწულებად უპატიოსნეს არს, ქორწინებად სრულიად უპატიო არს. *წემსგავსო ჴრისტეს, წმიდასა მას შემამკობელსა სასძლოასასა და სიძესა, რომელმან-იგი ქმნა სასწაული ქორწილსა შინა და პატივ-სცა შეერთებასა მას მისღვითა თვსითა* (ინ.2,1). *ადენ იყავნ წმიდა ქორწილი იგი და ბრწყინვალე და სურვილისაგან შეგინებულისა შეურევენელ!*

წრთსა ოდენ ვითხოვ შენგან: *მიიღე ნიჭისა ამის მიერ სიმტკიცე და მიეც ნიჭსა მას სინმიდე ჟამსა თვსსა, რაჟამს იყოს ჟამი ლოცვისად, ყოვლისავე საქმისა უპატიოსნესი! და ამასცა ზოგადითა განზრახვითა ვიტყვო და ნამებითა, რამეთუ არა თუ მჯუღლსა დაგიდებთ, არამედ გასწავლით და შენთაგან რადმე შენთვს მიღებად გუნებაეს* (1 კორ.7,5-7). *ჴოლო რადთა მოკლედ ვთქუა: არა არს ცხორებად, გინა საქმე ერთიცა, რომელსა არა უწმს ესე.*

წიიღე, რომელი-ეგე ჴელმწიფებასა შინა ხარ, პატიოსნებად იგი; რომელი მონებასა შინა ხარ – თავისუფლებად იგი; რომელი-ეგე მწუხარებასა შინა ხარ – ნუგეშინისცემად იგი; რომელი სიხარულსა შინა ხარ – მასწავლელი იგი; რომელი გლახაკებასა შინა ხარ – სიმდიდრე იგი განუპარველი; რომელი სიმდიდრესა შინა ხარ – კეთილი იგი განმგე სიმდიდრისა შენისა. *წურას ჰბრძნობ, ნუცა რას ღონესა ეძიებ წარსაწყმედელად ცხორებისა შენისა, რამეთუ დაღაცათუ სხუათა უგულუბელს-ვჴყოფთ, არამედ თავთა ჩუენთად ვერ ძალ-გვც, ხოლო თავისა თვისისა მღერად ფრად საცთურება არს და უგულისწმოება.*

19. წრამედ შორის სოფელსა იქცევი-ა და შეიგინები საქმეთა მისთაგან და ძნელ არს, უკუეთო შემდგომად განწმედისა კუალად შეიბლალო და დაილიოს შენ ზედა კაცთმოყუარებად? მარტივ არს სიტყუად ესე: უკუეთო შესაძლებელ არს, ივლტოდე სოფლისაგან და კეთილსა მას მოყუასსა თანა მიიხუენ ფრთენი ორბისანი, ანუ თუ ტრედისანი, რადთა უმახლობელესად ვთქუა (რამეთუ რად არს შენდა კეისრისა, ანუ საქმეთა კეისრისათა?); ივლტოდე, ვიდრე მიიწიო, სადა-იგი არა იყოს ცოდვად, არცა სიშავე, არცა იპოებოდის გუელი კბენად გზასა ზედა, დაყენებად იმრთისა მიმართ სლვათა შენთა.



წარიტაცე სული შენი სოფლისაგან, ივ-  
ლტოდე **სოდომით**, ივლტოდე დანუვისაგან,  
წარვედ მოუქცეველად, ნუ იქმნები ძეგლ მარ-  
ილის, მთად აღვედ, ნუუკუე წარგიტაცოს შენ  
სხუათა თანა. **აკუეთუ** პირველვე შეპყრობილ  
ხარ და შეკრულ საკრველთა მიერ საქროთა,  
ესრეთ არქუ თავსა შენსა და უფროხლა მე  
თვთ გრქუა შენ: უმჯობეს არს მიღებაჲ კეთილ-  
ისაჲ და დაცვაჲ სინმიდისაჲ.

**აკუეთუ** კულა ორივე არა იქმნას, შჯობს  
მცირედ შემნიკულებაჲ, ვიდრელარა სრული-  
ად მადლისა მისგან დაცვამაჲ, ვითარცა-იგი უმ-  
ჯობეს არს მცირედ შერისხვაჲ შამისა მიერ  
და შეუფისა, ვიდრელა სრულიად განვრდო-  
მაჲ შისგან და კულად შჯობს მცირედ ხედ-  
ვაჲ ნათლისაჲ, ვიდრელა სრულიად დაბნელე-  
ბაჲ. **ჰოლო** ბრძენთაჲ არს საქმე ესე, რადთა  
ვითარცა-იგი კეთილთა შორის უდიდესთა და  
უაღრესთა გამოირჩევენ, ეგრეთვე ბოროტთა  
შორის – უდარესთა და უსუბუქესთა.

**წმისთვს** ნუ ფრიად გეშინის განწმედის-  
აგან, რამეთუ კაცთმოყუარისა მის და მარ-  
თლისა **შსაჯულისა** ჩუენისა მიერ საქმეთა-  
ბრ და ცხორებათა განიკითხვის სათნობაჲცა  
და ცოდვაჲ. **წა** მრავალგზის, რომელი-იგი  
არს სოფლისა ღელვათა შინა, მცირედი რაჲ  
წარჰმართის, უმეტესი მადლი აქუნ, ვიდრელა  
რომელი-იგი თავისუფალ არს ყოვლისაგანვე  
და არა ყოველივე წარჰმართის. **წითარცა-იგი**  
უსაკრველეს არს შეკრულისა მცირედ სლვაჲ,  
ვიდრელა განწსნილისა სირბილი, რომელსა  
არარაჲ აქუნ სიმძიმე, და მწვრესა შინა მდ-  
გომარისა მცირედ განწმედაჲ თავისა თვისსაჲ,  
ვიდრელა სრულიად სინმიდე წმიდასა ზედა  
გზასა მავალისაჲ.

**წა** სახწ სიტყვსაჲ ამის იყავნ **ქააბ** მეძა-  
ვი, რომელი უცხოთმოყუარებაჲმან ოდენ გა-  
ნამართლა, რომლისა სხუად საქებელ არარაჲ  
იყო. **წა** მეზუერე ერთმან საქმემან აღამალ-  
ლა – სიმდაბლემან, რომელსა სხუად ვერარაჲ  
ენამებოდა, რადთა შენ ისწაო თავისა შენისა  
არა ადრე სასოებისა წარკუეთაჲ.

20. «არამედ და რაჲ უმეტესი მერგოსო,  
ადრე ნათლისღებაჲ და სინანული და ტკბილად  
ცხორებისაგან გამოჭუებაჲ თავისა თვისსა სი-  
მალლითა მით? არა შჯობს-ა გულისთქუმათა  
შინა ცხორებაჲ და მერმე მოქცევაჲ და მიღებაჲ  
ნათლისღებისაჲ და სინანული? *რამეთუ არცა  
თუ რომელნი-იგი პირველ მიწოდნეს ვენაჲსა*

*მას, დაშურეს და უმეტეს რადმე ერგო, ვინადთ-  
გან სწორად მიიღეს სასყიდელი უკუანაჲსკ-  
ნელთაჲსა»* (მთ.20,1).

**წივსნიეთ** ჩუენ მრავალთა საქმეთაგან, **წ**  
კაცო, რომელიცა ამას იტყვ, რამეთუ სთქუ  
მიზეზი დროებისა შენისაჲ. **წალაცათუ** ბო-  
როტის-ყოფასა შენსა არა ვაქებ, არამედ აღ-  
საარებასა შენსა ვაქებ. **წრამედ** მოვედ და  
იგავისა მის თარგმანებაჲ ისმინე, რადთა არა  
გევენბოდის **წერილისაგან** გამოუცდელიობი-  
სათვს.

პირველად უკუე გულისწმა-ყავ, ვითარმედ  
არა ნათლისღებისა და სინანულისათვს არს  
სიტყუად იგი, არამედ მათთვს, რომელნი თი-  
თოფერთა ჟამთა ირწმუნებდენ და ვენაჲსა მას  
შევიდოდინ, რომელ არს **წკლესიაჲ**, რამეთუ  
რომლით დლით და ჟამით ირწმუნა თითოეულ-  
მან, მიერთგან იძიების მისგან საქმწ იგი მუ-  
შაკობისაჲ.

**წა** კულად ესეცა იხილე, ვითარმედ და-  
ლაცათუ საზომითა მით შრომისაჲთა უმეტესი  
შემოიღეს პირველმოსრულთა მათ, არამედ სა-  
ზომითა მით გონებისაჲთა – არა. **წა** ვითარ-  
ცა ვჰგონებ, ვითარმედ უკუანაჲსკნელნი იგი  
ამისთვს უმეტესსაცა ღირს იყვენს, დალაცათუ  
საკრველ არს სიტყუად ესე, რამეთუ უკუან-  
აჲსკნელ მოსლვისა ვენაჲად უკუანაჲსკნელცა  
მონოდებაჲ იყო მიზეზ, ხოლო სხუათა მათ თუ  
რაზომი განყოფილებაჲ აქუს, ვიხილოთ:

**ქამეთუ** პირველნი იგი, ვიდრე არა დაეზა-  
ვნეს სასყიდლისათვს, არცა ვენაჲად შესლვად  
მორწმუნე იქმნეს, ხოლო უკუანაჲსკნელნი  
იგი დაუზავებელად მოუწდეს საქმესა მას, რო-  
მელ არს სასწაული უმეტესისა სარწმუნობი-  
საჲ; და კულად, პირველნი იგი მოშურნისა და  
მდრტუნავისა გონებისა **წფალნი** იყვენს, ხოლო  
უკუანაჲსკნელთა მათთვს არარაჲ თქუმულ არს  
ესევითარი. **წა** მათთვს სასყიდელი იყო მიცე-  
მული იგი, დალაცათუ უკეთურ იყვენს, ხოლო  
მეორეთათვს – ნიჭ. **წმისთვსცა** უგულისწმოე-  
ბისათვს ბრალეულ იქმნეს და სამართლად  
უმეტესი დაჰჭირდა. **წოლო** უკუეთუმცა იგ-  
ინიცა გვანად მისრულ იყვენს, ვიხილოთ, თუ  
რაჲ მიეცემოდა.

**საცნაურ** არს, ვითარმედ უკუეთუმცა ეგ-  
ვევითარი გონებაჲ ჰქონებოდა, ეგრეთვე სწ-  
ორად მიიღებდეს. **წითარ** უკუე აბრალებენ  
საქმის **წფალსა** მას არასწორებისათვს სწორად  
მიცემისაჲსა? ესე ყოველი მადლსა მას შრომის-

ასა მოაკლებს პირველთადასა, დაღაცათუ უფროსად დაშურეს, რომლისათვისცა სამართალ იყო სწორად მიცემა, რამეთუ შრომასა პირველთასა შეესწორა უკუანაასკნელთა მათ გულსმოდგინება.

21. **ჴოლო დაღაცათუ** ძალსა მას ნათლისღებისა და სინანულისასა მოასწავებს იგავი იგი სიტყვსაებრ შენისა, რად გაყენებს შენ, რათამცა მოუჴედ ადრე და დაჰშუერ და არამცა ეშურებოდე უკუანაასკნელთა მათ, რათა ესრეთ უმეტესი გაქუნდეს კაცთმოყუარისა მის წინაშე და მოცემული იგი თანამდებად და არა ნიჭად მოგცეს?

**თა** კუალად ესეცა გულისგმა-ყავ, ვითარმედ უკუანაასკნელნი იგი, დაღაცათუ უკუანაასკნელ მივიდეს, გარნა შევიდეს ვენაჴსა მას და არა სრულიად გარე დაშთეს, რომელი-იგი საშიშ არს შენდა, ნუჴუჴე სრულიად გარე დაშთე. **თა** უკუეთუმცა საცნაურ იყო, ვითარმედ პოვნად-გიც ნიჭი იგი საღმრთოდ ესევეითართა მაგით ბოროტად დროებითა მუშაკობისადათა, შესანდობელმცა იყო შენდა ესევეითართა მაგათ გულისსიტყუათათს და რამეთუ გნებაეს, რათამცა რამე მიიხუეჴე, კაცთმოყუარებისაგან შეუფისა, რათა არა ვთქუა, ვითარმედ თვთ მუშაკობად იგი და უმეტესისა შრომად ნიჭი არს დიდი, რომელი არა სრულიად მადლის მოფარდულ იყოს გონებითა.

**თინათგან უკუე** საშიშ არს შენდა სრულიად ვენაჴისა მისგან განვრდომად ვაჴრობითა მაგით შენითა და მცირეთა მაგათ საქმეთა გამორჩევად სრულიად იმრთისაგან უცხო-გყოფს, მოვედ და ჩემნი სიტყუანი ისმინენ, და ესევეითარნი მიზეზნი და მრავალმეტყუელებანი დაუტევენ, და განუკითხველად ნიჭსა მას მოუჴედ, ნუჴუჴე წარიტაცო უწინარეს სათნოებათა მაგათ შენთა და მრავალნი ეგე ღონენი და სიბრძნენი სავენებელად თავისა შენისა ჰქმნენ და ვერ სცნა.

22. **თა უკუეთუ იტყვ**, ვითარმედ: რად არს, არა კაცთმოყუარე არს-ა იმერთი და მხედველი გონებათად, რამეთუ განიკითხავს **თგი** გულთა და ნათლისღებისა და სინანულისა წილ შეჴრაცხს გულსმოდგინებასა? მსგავს არს სიტყუად შენი ზღაპარსა, უკუეთუ ნათელღებულად შერაცხილ არს წინაშე იმრთისა უნათლავი იგი კაცთმოყუარებისათს **თისისა**, ანუ თუ სასუფეველსა ღირს იქმნების, რომელსა სწადოდა იგი, თვნიერ საქმეთა სასუფეველისათა.

**თრამედ მე**, ვითარცა მაქუს ამისთვის, ვთქუა იგი მინდობით: მიძლებელნი იგი ნიჭისა მის რომელნიმე სრულიად იყვნეს უცხო იმრთისა და ცხოვრებისა, ყოვლისავე ბოროტისა მოქმედებად წარეველო და ისწრაფდეს, რათამცა ბოროტ და უკეთურ იყვნეს; ხოლო რომელნიმე ნახევარსა ზედა იყვნეს და საშუალ სათნოებისა და უკეთურებისა იყოფოდეს, რომელთა-იგი ბოროტი ქმნეს, ხოლო საქმესა მას არა სუროდა, ვითარცა-იგი, რომელნი ჴურვენ და თავქედსა შინა არიან თვისისა უძღურებისაგან, არამედ მათ არა სურის მისა; ხოლო რომელნიმე უწინარეს სისრულისადა საქებელ იყვნეს: რომელნიმე ბუნებით და რომელნიმე მოსწრაფებით განსწმედდეს თავთა მათთა უწინარეს ნათლისღებისა. **თა** შემდგომად სისრულისა იქმნეს უდიდეს და უმტკიცეს და პირველად ილუანეს, რათამცა პოვეს კეთილი იგი, ხოლო მეორედ, რათა დაიმარხონ პოვნილი იგი.

**თმათ შორის უმჯობეს** სრულიად უკეთურთასა არიან იგინი, რომელთა მცირედ რამე დაეკლოს ბოროტისაგან. **თა** კუალად უმჯობეს მათსა არიან მოსწრაფენი იგი და წინადათვე განმზადებულნი ნათლისღებისა მიმართ, რამეთუ აქუს მათ უმეტესი ნაყოფი. **თამეთუ** არა თუ ვითარცა-იგი ცოდვათა აჴოცად აქუს ნათლისღებასა, ეგრეთვე სათნოებათადაცა უჩინო-ყოფად. **თა** კუალად მათსადა უზემთაეს არიან, რომელნი მუშაკობასა მას მადლისასა აღასრულებდენ და უმეტესად განაშუენებდენ თავთა მათთა.

23. **თა** ეგრეთვე კუალად რომელნი გამოეჴუნენ ნათლისღებისაგან და სინანულისა, რომელნიმე არიან სრულიად პირუტყუებრ, გინა თუ მჴეცებრივ, რომელთა სხუათა მათ ბოროტთა თანა არცა თუ თვთ მადლი პატიოსნად აქუს, არამედ ჴემმარიტად მადლი, რომელი უკუეთუ მიეცეს, დაადგრების, ხოლო უკუეთუ არა მიეცეს, შეურაცხ არს.

**ჴოლო სხუათა** კუალად უწყიან და პატივ-სცემენ მადლსა მას, არამედ ადროებენ მიღებასა მისსა, რომელნიმე – უდებებისათს, რომელნიმე – უძღებებისათს, რომელნიმე ვერცა შემძლებელ არიან მიღებად მისა ანუ სიჩრქოსაგან, ანუ სხვსა რადმე უნებლიეთისა საქმისა, რომლისათს დაღაცათუ ენებოს, ვერ ძალ-უც მიღებად მადლისა მის.

**თითარცა უკუე** პირველთა მათ თანა ფრიადი განყოფილება ვპოვეთ, ეგრეთვე ამათ

თანაცა. ჯამეთუ რომელნი-იგი ფრიად შეურაცხისმყოფელ არიან მადლისა მის, იგინი უძკრეს არიან მათსა, რომელნი უდებებისათს, გინა უძღვებებისა არა მიიღებენ მადლსა მას. **წა** კუალად ესენი უძკრეს არიან მათსა, რომელნი-იგი უმეცრებისათს, ანუ მძლავრობისა გამოეჭუებიან მადლსა მას, რამეთუ მძლავრობაჲ სხუად არარაჲ არს, არამედ უნებლიეთი ცოდვაჲ.

**წა** მე ესრეთ ვიტყვ, ვითარმედ პირველთა საშველი მოეწადოს ვითარცა-იგი სხუათა მათ ცოდვათა მათათს, ეგრეთვე უგულუბელს-ყოფისათს მადლისა მის საღმრთოსა. **ჴოლო** მეორეთა მათ მოეწადოს საშველი, არამედ უსუბუქესად, რამეთუ არა უკეთურებითა, არამედ უფროსად უგულისწმოებითა გამოჭუება იგი მადლისა მისგან წაეკიდა. **ჴოლო** მესამენი იგი არცა იდიდნენ, არცა იტანჯნენ მართლისა მის **შ**საჯულისაგან, ვითარცა დაუბეჭდავნი, არამედ არა უკეთურნი, და რამეთუ არა თუ თვთ ქმნეს, არამედ მძლავრობით მოინია უფროსად მათ ზედა დაჭირვებაჲ იგი, რამეთუ არა თუ ყოველი, რომელიცა სატანჯველსა არა ღირს არს, იგი პატივისა ღირს არს, ვითარცა-იგი თუ რომელი პატივისა არა ღირს არს, იგი სატანჯველსა მეზრ ღირს არს.

**წა** ამასცა ვიტყვ: უკუეთუ რომელსა მოეგონოს კაცისკლვაჲ, შჯი მას, ვითარცა კაცისმკლველსა თვნიერ კაცისკლვისა, იყავნ ნათელღებულ შენდა იგიცა, რომელსა ენებოს ნათლისღებაჲ თვნიერ ნათლისღებისა. **ჴოლო** უკუეთუ ესე არა ესრეთ არს იგი, ვითარ იყოს ესრეთ? და კუალად ესეცა გულისწმა-ყავ, უკუეთუ კმა-არს შენდა სურვილი ნათლისღებისა და სინანულისაჲ ნათლისღებად და სინანულად და ამისთვის ეძიებ დიდებასა, კმა-იყავნ შენდა დიდებად გულისთქუმაჲ იგი დიდებისაჲ. **წა** რაჲ გვენების არა პოვნაჲ მისი, ვინათგან გაქუს სურვილი მისი?!

24. **წნ** უკუე ვინათგან ესე სიტყუანი გასმიან: *მოვედით მისა, მიიღეთ ნათელი და პირთა თქუენთა არა პრცხუენეს გამოვრდომითა ნათლისაგან* (ფს.33,6) და *შეინყნარეთ ნათელი, ვიდრელა ჟამი არს, რაჲთა არა ბნელმან გდევნოს თქუენ და გენიოს და ნათლისაგან განგაშორნეს* (ინ.12,35), *რამეთუ მოვალს ბნელი, რომელსა შინა ვერვის ძალ-ედვას საქმის* (ინ.9,4). **ღი** **წავითისი** არს სიტყუად და ესე – *ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲ, რომელი გა-*

*ნანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად* (ინ.1,9).

ღსმინეთ **სოლომონისა**ცა, რომელი მწარედ გაყუედრებს თქუენ, უდებთა მაგათ, და იტყვს, ვითარმედ: *შ ბარმაცო, ვიდრემდის მდებარე ხარ, ანუ ოდეს ასდგე ძილისაგან?* (იგ.6,9); *მრავალსა ღონესა მოიპოებ და შმიზეზობ მიზეზობასა ცოდვისასა* (ფს.140,4): ველიო განცხადებასა, აღვსებაჲ უპატიოსნეს არს ჩემდა, მარტულიასა მოველოდი, **ჴრისტეს** თანა ნათლისღებაჲ კეთილ არს, **ჴრისტეს** თანა აღდგომაჲ დღესა მას **წ**დღგომისასა, სულისა **ჩ**მიდისა მოსლვასა პატივ-ვსცე.

**წა** მერმე რაჲ-მე ყოფად არს? *მოინიოს აღსასრული მეცა შინა დღესა, რომელსა არა მოელოდი და ჟამსა, რომელსა არა უწყოდი* (ლკ.12,46). *შერმე მოვიდეს შენდა სიგლახაკე იგი მადლისაჲ, ვითარცა მგ ზავრი ბოროტი* (იგ. 6,11) და ჰყმებოდი შენ ესეზომსა მას სიმდიდრესა სახიერებისა მისისასა.

**ჯერ**-არს, რაჲთამცა წინააღმდგომნი წინააღმდგომთანი მოიგენ, მოსწრაფებითა – სიმდიდრეჲ და *წყაროესა მის მიერ – განსუენებაჲ, ვითარცა ირემი წყურიელი მოსწრაფებით მირბინ წყაროდ* (ფს.41,2) და დაშრიტის წყლითა მით შრომაჲ იგი სირბილისაჲ. **წა** რაჲთა არა წარგეკიდოს **ღსმელისა** იგი საქმეჲ, რაჲთა ურწყულეებითა განჰყმე, ანუ მცა შორის წყაროსა მდგომარე წყურილითა იტანჯებოდე (შესქ.21,15-19).

**ჴოროტ** არს თანაწარსლვაჲ სავაჭროსაჲ და მერმელა ძიებაჲ ვაჭრობისაჲ; ბოროტ არს თანაწარსლვაჲ მანანასაჲ და მერმელა ძიებაჲ საზრდელისაჲ; ბოროტ არს ნებსით ზღვევისა მოწვენაჲ თავსა ზედა თვსსა და მერმელა ცნობაჲ ზღვევისაჲ მის, რაჟამს იზღვიოს, რაჟამს-იგი არა იყოს დაჰსნაჲ ზღვევისაჲ მის შემდგომად ამიერ წარსლვისა და მწარისა მის გამოძიებისა თითოეულთა საქმეთაჲსა და ტანჯვისა მის ცოდვილთაჲსა და ბრწყინვალეებისა წმიდათაჲსა.

**წმისთვის** ნუ უდებ ხართ მადლისა მიმართ, არამედ ისწრაფეთ, ნუმცა გისწრობს თქუენ ავაზაკი, ნუმცა გძღვეს მეძავი, ნუმცა წარგვდების უძღვები, ნუმცა წარიტაცებს კეთილსა მას კაცისმკლველი ვინმე უწინარეს თქუენსა, ნუცა მეზუერე, ნუცა მემრუშე, *ნუცა სხუად ვინ მიძულეებლთაგან სასუფეველისათა, რამეთუ იძულეების იგი ნებსით და იმ-*

ძღვარების იგი სახიერებისათვის (მთ.11,12).

25. ჴკან იყავ ბოროტის-ყოფად, ჴ კაცო, და მალე – კეთილის-ყოფად და ცხორებად, უკუეთუ ისმენ ჩემსა, რამეთუ სწორად ბოროტ არს განმზადებულებად ბოროტისა მიმართ და უდებებად კეთილისა მიმართ. *აკუეთუ განფრთხობად იწოდო, ნუ მიისწრაფებ, უკუეთუ უვარის-ყოფად იწოდო, ივლტოდე. აკუეთუ გრქუას შენ კრებულმან ბოროტმან – მოვედ ჩუენ თანა, გუეზიარე სისხლსა და დავფაროთ ქუეყანასა შინა კაცი მართალი უსამართლოდ* (იგ.1,11), ყოლადვე ნუ მიუპყრობ ყურსა, რამეთუ ორი კეთილი ჴქმნე: მასცა აცნობო ცოდვად იგი და თავი შენი განარინო ჴიარებისა მისგან ბოროტისა.

აკუეთუ კულა გეტყოდის შენ დიდი **წავით**: *მოვედით, უგალობდეთ აფაღსა* (ფს.94,1) და უკუეთუ სხუად წინააღმართმეტყუელი გეტყოდის: *მოვედით, აღვიდეთ მთასა აფღლისასა* (მიქ.4,2; ეს.2,3), ანუ თუ თვთ თავადი **შაცხოვარი**: *მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვრთმიძიმენი და შე განვისუენო თქუენ* (მთ.11,28), ანუ თუ: *აღდეგით და წარვიდეთ ამიერ* (ინ.14,31) *ბრწყინვალედ, უფროჲს თოვლისა განსპეტაკებულნი, უფროჲს სძისა შეყოფილნი, უფროჲს ქვისა საფირონისა განბრწყინვებულნი* (გოდ.იერ.4,7),

ჩუმცა წინა-აღუდგები, ნუცამცა ჴყოვნი, *იქმენ ვითარცა სეტრე და ჴოვანე: ვითარცა იგინი საფლაგად და აღდგომად*, ეგრეთვე შენ სინანულად და ნათლისღებად მიისწრაფე. *აბიოდე* (ინ.20,4), რადთა უსწრო სხუათა კეთილისა მიმართ. ჩუ იტყვ: *«წარვედ და მოვედ, ხვალე შევინანო და ნათელ-ვილო», რაჟამს-იგი ძალ-გედვას დღესვე კეთილსა შინა შესლვად* (იგ.3,28).

ჩუ იტყვ: «მოვიდეს ჩემდა დედა ჩემი, მოვიდეს მამა ჩემი, ძმანი, ცოლი და შვილნი და მეგობარნი და ესრეთლა ვცხონდე, ხოლო აწ არღარა არს ჟამი განბრწყინვებად ჩემდა», რამეთუ მეშინის, ნუუკუე რომელთა-იგი ელოდე სინარულისა ჴიარ-ყოფად, მიიხუნე მოზიარედ გლოვისა. აკუეთუ შენ თანა იყვნენ, გიხაროდენ, უკუეთუ კულა არა იყვნენ, ნუ ელი.

ჴოროტ არს თქუმად, თუ: «სადა არიან შესანიარავნი, რომელნი შევნირნე ნათლისღებისა ჟამსა, სადა არს სამოსელი იგი სანათლოდ, რომლითა განბრწყინდე, ანუ სადა არიან სანოაგენი იგი, რომლითა ვახარო ნათლისმცე-

მელთა ჩემთა, რადთა ესრეთ სათნო-ვიყო, რამეთუ ფრიად საჴმარ არს ესე ყოველი და თვნიერ ამათსა მადლი იგი დამცირდებისა».

ჩუ მცირისმეტყუელ ხარ დიდთა მათ საქმეთა ჴედა, ნურარას იტყვ სიტყუასა ცუდსა, რამეთუ უჴეშთაეს ხილულთა მათ საქმეთა არს საიდუმლოდ იგი. **ჴესანიარავად** თავი შენი შენირე, სამოსლად ჴრისტე შეიმოსე, მანუკვე მე მოქალაქობითა კეთილითა. **უსევითარი**თა ხადილითა მხიარულ ვიქმნები მე, ამას ჴედა მხიარულ არს იმერთიცა, დიდთა მათ ნიჭთა მიმნიჭებელი. **წარაად** არს დიდ წინაშე იმერთისა, რომელსა ვერ მისცემს გლახაკიცა, რადთა არა ამასცა ჴედა შეურაცხ-იყვნენ გლახაკნი, რომელთა ვერ ძალ-უც სწორებად მდიდართა, რამეთუ სხუათა საქმეთა ჴედა არს განყოფილებად გლახაკთა და მდიდართად, ხოლო ამას ჴედა უმჴურვალესი იგი უმდიდრეს არს.

26. ჩუმცა რად გაყენებს შენ წარმატებად, ნუმცა რად დაგაყენებს სურვილსა შენსა, არამედ ვიდრემდის ჴურავს სურვილი შენი, მოიპოვე სასურველი იგი, ვიდრემდის ჴურავს რკინად, გრილითა მით გამოიპირენ, ნუუკუე მო-რადამე-ინიოს და დააცხრვოს სურვილი შენი.

25 **წილიბე** ვარ მე, იქმენ შენ, ვითარცა საჭურისი იგი. **წქუ** შენცა: *«აჴა, წყალი, რად მაყენებს ნათლისღებად?»* (საქმ.8,36). **წარიტაცე** ჟამი იგი, იხარებდი კეთილსა მას ჴედა და ნათელ-ილე და ცხონდი სინანულითა. **წალაცათუ** **წინდოდ** ხარ ჴორციითა, განსპეტაკენ სულითა. **სოვე** ცხორებად იგი სულისად, რომლისა არარად უმაღლეს არს, არცა უპატიოსნეს.

ჩუ იტყვ, თუ: «ებისკოპოსმან ნათელ-მცეს და იგი იყოს კათალიკოზ ანუ **წერუსალიმელ** (რამეთუ არა ადგილთად არს მადლი, არამედ სულისად), და ესე იყოსო პატიოსანთაგანი, რამეთუ ბოროტ არს, უკუეთუ პატიოსნებად ჩემი ნათლისმცემელისა მიერ შეურაცხ-იქმნას, ანუ დაღაცათუ ხუცესი იყოს, გარნა უქორწინებელთაგანი და მმარხველთა და ანგელოზთა თანა მოქალაქობითა, რამეთუ ბოროტ არს, უკუეთუ ჟამსა მას განწმენდისასა შევიგინო».

ჩუ ეძებ ღირსებასა ქადაგისა და ნათლისმცემელისასა, რამეთუ სხუად არს მათი მსაჯული, მხედველი იგი დაფარულთად, რამეთუ *კაცი პირსა მხედავს, ხოლო იმერთი – გულსა* (1 მეფ.16,7). **წოლო** შენდა ყოველივე ღირს არს ნათლისმცემად, ოდენ იყავნ მართლმორწმუნეთაგანი და ნუ ცხადად განვრდომილი და უცხო

ეკლესიისაგან.

ჩუ შვი მსაჯულთა, რომელსა-ეგე გივმს კურნება. ჩუ განიკითხავ პატივსა შენთა განმწმედელთასა, ნუცა მსაჯულ მშობელთა იქმნები, რამეთუ სხუად სხვსა უდიდეს არს, გინა უმდაბლეს, ხოლო შენსა ყოველნივე უაღრეს არიან და გულისწმა-ყავ ესრეთცა: მოინუენ ბეჭედნი ორნი, ოქროსა და რკინისა, რომელთა ზედა იყოს ერთი ხატი სამეუფო დაწერილ. შერმე უკუე დაჰბეჭდე ცვლი ორთავე. ჯა განყოფილება იპოოს ორსავე მას შინა ურთიერთას? არარა.

იცან ნივთი იგი ცვლსა მას შინა. ბაღაცათუ ბრძენ ხარ შენ, თქუ, რომელი ოქროთა არს დაბეჭდულ, ანუ რომელი რკინითა და ვითარ ერთ არიან ორნივე? რამეთუ ნივთისა მის არს განყოფილება და არა ხატისა, ეგრეთვე იყავნ შენდა ყოველივე ნათლისმცემელი, დაღაცათუ სათნოებითა ერთიერთსა უზეშთაეს იყოს, გარნა ძალი იგი ნათლისღებისა ერთ არს და ყოველი ზოგად სრულ-გყოფს, რომელცა ერთითა მით სარწმუნოებითა შემკულ არს.

27. ჩუ უღირს-იჩინებ ნათლისღებად გლახაკისა თანა მდიდარი ეგე, ნუცა ოფალი – მონისა თანა, რამეთუ ვერსადა დაჰმდაბლდე ესრეთ, ვითარცა-იგი ჴრისტე, რომლისა შენ დღეს ნათელ-იღებ, რომელმან შენთვის მონისა ხატი შეიმოსა. შინაფთგან შეიცვალე, ყოველნივე ძუელნი იგი სახენი წარჯდეს და ერთი სახც დადებულ არს ყოველთა ზედა – ჴრისტე.

ჩუ უღირს-იჩენ აღსაარებად ცოდვათა შენთა, რომელმან-ეგე უწყი, თუ ვითარ ნათელ-სცემდა **სოვანე**, რათა მერმისა მის სირცხვისაგან აქათა მით სირცხვლითა განერე, რამეთუ ესეცა ნაწილი არს მერმისა მის სატანჯველისა – სირცხვლი იგი საუკუნო. ბა გამოაჩინო, ვითარმედ ცოდვაჲ ქეშმარიტად მოგიძულეხეს, ვინაფთგან გამოაცხადე იგი და განაქიქე, ვითარცა ქეშმარიტად ღირსი გინებისა.

ჩუ განაგდებ აღთქუმისა ყოფად იმრთისა მიმართ, ნუცა სიგრძისათს მისისა გეშინის, რამეთუ ესეცა გამოსაცდელი არს ერთგულებისა შენისა, რომელი გაქუს იმრთისა მიმართ. ჯაზომი შრომაჲ თავს-იდვა, ვითარ-იგი ჰინდოთა დედოფალმან თავს-იდვა, რამეთუ იგი კიდეთაგან ქუეყანისათა აღდგა ხილვად სიბრძნესა **სოლომონისა**. ბა აჰა ესერა უფროდს **სოლომონისა** არს აქა, რომელ-

ნი კეთილად გულისწმა-ჰყოფდენ (მთ.12,42; 3 მეფ.10,1; ლკ.11,31).

ჩუ უდებ იქმნები ნუცა სიშორისათს გზისა, ნუცა სიგრძისათს ზღვსა; ნუცა ცეცხლისაგან შეშინდები, დაღაცათუ ესეცა წინამდებარე იყოს; ნუცა სხვსა რაფსაგანმე, მცირისა გინა დიდისა, დამაყენებელისა შენისა მადლისა მისგან. ოკუეთუ კულა შესაძლებელ შენდა იყოს თვნიერ ყოვლისავე ჭირისა და შრომისა მადლისა მის მიღებაჲ, ვითარ უკეთურებაჲ და უდებებაჲ არს დროებაჲ და არა სწრაფით მიღებაჲ!

*ქომელთა გწყურის, წარვედით წელად (7ს-ათა გიბრძანებს) და რომელთაცა არა გაქუს ვეცხლი, წარვედით და სუთ ღვწომ თქუენი თვნიერ სასყიდლისა (ეს.55,1).* შა, სისუბუქცესე მადლისაჲ მის, ეჰა, სიადვილე ვაჭრობისაჲ მის! სასყიდელი მისი არს ოდენ ნებაჲ შენი კეთილისაჲ, თვთ ნებასა მას დიდისა წილ სასყიდლისა მიიღებს. სწყურის წყურილისათს შენისა, ასუამს ყოველთა, რომელთაცა ენებოს, ქველის-საქმედ შეურაცხიეს, რაჟამს სთხოვდე შენ წყალობასა, უხუ არს იგი და დიდ ნიჭითა, უხარის მას მიცემაჲ უფროდს, ვიდრელა სხუათა მიღებაჲ. ოდენ ნუმცა მცირეთა საქმეთა ვითხოვთ და უღირსთა მომცემელისა მის.

*ჩეტარ არს, რომელსა სთხოვოს ჴრისტემან სასუმელი, ვითარცა სამარიტელსა მას (ინ.4,7) და მისცეს წყაროსაგან წყლისა მდინარისაჲ ცხორებად საუკუნოდ! (ინ.4,14).* ჩეტარ არს, რომელმან სთესოს ყოველსა წყალსა ზედა და ყოველსა სულსა, რომელი ხვალე მოიწნას და ნაყოფიერ იქმნას, რომელსა დღესა ზროხაჲ და კარაული დასთრგუნავს (ეს.32,20), რამეთუ უნაყოფო არს და კორდ და ურწყულეებითა მოიშთვების!

*ჩეტარ არს, რომელი მოიწწყას მდინარეთა მათგან ტაძრისაგან ოფლისა (იოველ.3,18) და იქმნას გამომღებელ ეკლისა წილ იფქლისა და ყოს საზრდელი კაცთაჲ და არა უჰმარი და ფიცხელი, რომლისათს ჯერ-არს ყოვლისავე მოსწრაფებისა მოპოვნებაჲ არა გამოვრდომად მადლისა მისგან.*

28. ბა რომელნიმე იტყვან კუალად, ვითარმედ: იყავნ ესე ყოველი მეძიებელთა მათთვის ნათლისღებისათა. ჯა სთქუა უკუე ჩჩვლთათს, რომელნი ჯერეთ ვერცა მადლსა, ვერცა ვნებასა სცნობენ? ანუ მათცა ნათელ-ესცეთ-ა? და ფრიადცა კეთილად ნათ-

ელ-ვსცეთ, უკუეთუ რამე ქირი წინამდებარე იყოს და გუასწრაფობდეს, რამეთუ უმჯობეს არს უმეცრად განწმენდაჲ, ვიდრელა წარსლვაჲ უბეჭდავაჲ და განწმედელაჲ.

სახე ამისა არს მერვისა დღისა წინადაც-უეთაჲ (შესქ.17,12), რომელი იყო იგავი ბეჭდისაჲ ამის და ჯერეთ უმეცართა მიეცემოდა და კუალად ცხებაჲ იგი წყირთლთაჲ, რომელი უცნობელთა მიერ ჰფარვიდა პირშმოთა მათ.

ჴოლო სხუათა მათთჳს ვიტყჳ, რაჲთა მესამესა წელსა ელოდნეთ, ანუ თუ შინაგან ამისა, ანუ უმეტეს მცირედ, რაჲჲმს შემძლებელ იყვნენ სიტყუათა მათცა საიდუმლოჲსათა სმენად და მიგებაჲ, დაღაცათუ სრულიად ვერ გულისწმისმოფელ იყვნენ, გარნა სახედ იქმან მას ყოველსა და ესრეთ წმიდა-იქმნენ სულით და ჳორციით დიდითა მით საიდუმლოთა სისრულისაჲთა.

ჴამეთუ მიერთგან ინყებენ საქმეთათჳსცა ამის ცხორებისათა სასჯელისა მიღებაჲ, რაჲჲმს-იგი სიტყუაჲ აღესრულოს და ისწაონ საიდუმლოჲ იგი (რამეთუ უმეცრებით ცოდვისათჳს ჰასაკისა მათისათჳს უბრალო არიან) და ყოველსავე ზედა კეთილ არს შეზღუდვაჲ თავთა თჳსთაჲ ნათლისღებისა მიერ მეყსა შინა მოწვევნადთა მათთჳს ღელვათა შეუწვენელთა.

29. *სრამედ ჴრისტემ ოცდაათისა წლისამან ნათელ-ილო* (ლკ.3,23), რომელი-იგი იმერთი არს, და შენ ჰბრძანებ სწრაფასა ნათლისღებისა მიმართ? ვინაჲთგან იმერთი სთქუ, აღგიწსნიეს ყოველივე საძიებელი, რამეთუ ჴგი თვთ სინმიდე იყო და არა უწმდა განწმედაჲ, არამედ შენთჳს ნათელ-ილო, ვითარცა-იგი ჳორცნიცა შეიმოსნა შენთჳს უწორცომან შან და არცა რაჲ სავენებელ იყო შისა ყოვენებაჲ ნათლისღებისაჲ.

ჴამეთუ ჴგი ჴავადი ოვალ იყო ვნებისა ჴვისისა და რაჲჲმს სათნო-იყო ვნებაჲ, მაშინცა იქმნა, ვითარცა-იგი ჴობაჲ, ხოლო შენდა არცა მცირედ სავენებელ არს, უკუეთუ წარხვდე ხრწნილებით ოდენ შობილი და არა შეიმოსო უხრწნილებადცა. *თა* ამასცა ვიტყჳ, ვითარმედ მისდა იგი ჴამი იყო კეთილ ნათლისღებაჲ, ხოლო შენდა არა ეგრეთვე არს.

ჴამეთუ გამოცხადნა ჴგი ოცდაათისა წლისაჲ, რაჲთა არა ვითარცა მაჩუენებელი და კაცთმოთნე შეირაცხოს ვიეთგანმე (რამეთუ კეთილისა გამოუცდელთაჲ არს ვნებაჲ ესე) და რამეთუ სრული გამოცდაჲ სათნოებისაჲ და ჴამი მოძღურებით სწავლისაჲ მას ჰასაკსა აქუს.

წინაითგან უკუე ჯერ-იყო აღსრულებად ვნებისა მის სოფლისა განმაცხოველებელისაჲ, ჯერ-იყო, რაჲთა ზოგად შემოკრებენ ყოველნი იგი სახენი ვნებისანი: განცხადებაჲ, ნათლისღებაჲ, ხეცით წამებაჲ, ქადაგებაჲ, შემოკრებაჲ იგი ერისაჲ და სასწაულნი იგი, რაჲთა ვითარცა ერთგუამ იქმნენ, არა განყოფილ სიშორითა ჴამთაჲთა.

ჴამეთუ ნათლისღებისა და ქადაგებისაგან *იქმნა შემოკრებაჲ იგი ერისაჲ* (მთ.21,10) და შემოკრებისაგან – ქმნაჲ იგი სასწაულთაჲ. *თა* ამათგან იშვა შური და შურისაგან – სიძულილი და სიძულილისაგან – განზრახვაჲ იგი და განცემაჲ. *წმით* ყოველთაგან იქმნა ჴუარცუმაჲ და რავდენნი-ესე ვცხონდით. *თა* ჴრისტეს საქმენი ესე არიან და ამის მიზეზისათჳს ვითარ-ესე ჩუენ ძალისაებრ ჩუენისა გულისწმა-ვჳყოფთ, ნუუკუე სხუანიცა მიზეზნი იყვნენ ჩუენდა უცნაურნი.

30. *ჴოლო* შენდა რაჲ ქირი არს, რაჲთა სახეთა მათ, რომელნი უზეშთაეს შენსა არიან, შეუდგე და ესრეთ ბოროტად არა განიზრახვიდე? რამეთუ სხუანიცა მრავალნი ქმნა ჴრისტემან სხვთა სახითა და ჩუენ სხვთა სახითა ვიქმთ. *თა* არა ესრეთ ქმნა შან, ვითარცა ან ვიქმთ, ვითარ იგი იმარხა შან მცირედ უწინარეს გამოცდისა, ხოლო ჩუენ ვიმარხავთ უწინარეს წღესებისა. *თა* მარხვაჲ იგი ერთ არს, არამედ ჴამთა არა მცირედი განყოფილებაჲ აქუს, რამეთუ მან განსაცდელთა მიმართ ქმნა იგი, ხოლო ჩუენ ჴრისტეს თანა მოკუდომასა მოგუასწავებს და განწმედაჲ არს წინადლითი.

*თა* შან ორმეოცი დღე იმარხა (რამეთუ იმერთი იყო), ხოლო ჩუენ ძალისაებრ ვიქმთ მარხვასა, დაღაცათუ ვიეთმე შური იგი საღმრთოჲ უზეშთაესცა ძალისა წარჰმართებს. *ჴუალად* მისცა მოწაფეთა საიდუმლოჲ იგი *სასექისაჲ* ქორსა ზედა და შემდგომად სერობისა და უწინარეს წინებისა დლითა ერთითა, ხოლო ჩუენ აღვასრულებთ საიდუმლოსა მას სახლთა შინა სალოცველთა და უწინარეს სერობისა და შემდგომად წღდგომისა.

წღდგა ჴგი მესამესა დღესა, ხოლო ჩუენ აღვდგეთ შემდგომად მრავლისა ჴამისა. *თა* არცა განყოფილ არიან სრულიად საქმენი ჩუენნი მისთაგან, არცა შეერთებულ არიან ჴამეულად, არამედ ოდენ სახედ მოგუეცნეს საქმენი იგი, ხოლო სრულიად მახლობელობისაგან განეშორნეს. *ჴა*ჲ საკვრველ არს, უკუე-

თუ ჩათლისლებადცა უკუე მიილო ჩუენთვს? არამედ ჟამითა განყოფილ არს, რომელი-იგი შენ არა შეგირაცხიეს, ვითარცა დიდი რაამე და საკრველი, არამედ ვითარმცა მბრძოლად შენისა ცხორებისა მოცემულ იყო.

31. **ს**ნ უკუე რომელნიცა ჩემსა ისმენთ, ესე-ვითარნი ესე სიტყუანი შორს თქუენგან განყარენით და თქუენ კეთილსა მას ნათლისლებისა და სინანულისასა მოუჭედით და ორკეცი ღუანლი მოიღუანეთ: ერთი იგი, რაათა განსწმიდნეთ თავნი თქუენნი უწინარეს ნათლისლებისა, ხოლო მეორე, რაათა დაიცვათ ნათლისლებისა იგი მადლი, რამეთუ სწორი სწრაფად უჭმს მოგებადცა კეთილისა, რომელი არა იყოს, და დამარხვად მოგებულისა მის.

ჯამეთუ მრავალგზის, რომელი-იგი მოსწრაფებამან მოიგო, წარწყმიდა უდებებამან და რომელი-იგი უდებებამან განხრწნა, მოიგო მოსწრაფებამან. ჩეთილნი შემწენი არიან შენდა პოვნად სასურველისა მის: მღვდარებად, მარხვად, წმელსა ზედა ნოლად, ლოცვად, ცრემლი, მონყალებად, გლახაკთა მიცემად – ესე ყოველი იყავნ შენდა სამადლობელცა და მცველ მადლისა მის, რომელი მოგეცა.

საქუს სასწენებელი მრავალთა მცნებათად ქველისმოქმედებად ეგე, შენ ზედა ქმნილი? და ამისთვის ნუ თანა-წარჰდები: რაჟამს გლახაკი მოგიცდეს, მოიწენე, თუ რაჟომ გლახაკ იყავ და რაჟომ განმსდიდრდი; უკუეთუ ვინ პურის მეძიებელი იყოს, ანუ სასუმლისად, ვითარცა **ზაზარე, წინაშე კართა შენთა დავრდომილი** (ლკ.16,20), შეიკდიმე ტაბლისა მისგან საიდუმლოდსა, რომელსა მოუჭედ, პურისა მისგან, რომელი მიიღე, სასუმლისა მისგან, რომელსაცა ეზიარე და სრულ-იქმენ ვნებათა მიერ **ჩრისტეს**თა.

აკუეთუ უცხოად მოგიცდეს უსახლოდ, მსხემი, შეინყნარე მის მიერ შენთვს უცხოქმნული იგი თვსთა თანა, რომელმან დაიმკვდრა შენ თანა მადლისა მისთვს თვისსა და ზეცისა სამკვდრებელად მიგიზიდა. **შსგავსე ზაქეს, რომელი გუშინ იყო მეზუერე და დღეს – დიდ სულითა** (ლკ.19,2). ყოველივე შემოსლვასა მას **ჩრისტეს**სა შენდა შეწირე, რაათა დიდ იქმნა, დაღაცათუ ჯორციელითა ჰასაკითა მცირე იყო, და იხილო **ჩრისტე** კეთილად.

აკუეთუ უძღური და წყლული იხილო, შენისა მაგის სიმრთელისაგან შეიკდიმე და წყლულებათა მათ, რომელთაგან **ჩრისტემან**

განგათავისუფლა; **უკუეთუ იხილო შიშუელი, პატიე-ეც** (ეს.58,7) **შენსა მას უხრწნელებისა სამოსელსა, რომელ არს ჩრისტე, რამეთუ რომელთა ჩრისტეს მიერ ნათელ-გილებიეს, ჩრისტე შეგიმოსიეს** (გალ.3,27). **აკუეთუ მოვალე შენი მოვიდეს შენდა და შეგივრდებოდის, ყოველივე ჯელითნერილი, უჯეროდ, გინა ჯეროვანი, განხეთქე** (მთ.18,26-27).

შოიწენენ ბევრეულნი იგი ტალანტინი, რომელნი **ჩრისტემან** მოგიტევენა. ჩუ იქმნები ვახშისმომჭედელ მწარე თანანადებისად მის მცირისადა ძმათა მიმართ შენთა და შენთავე მსგავსთა მონათა, რომელსა-ეგე უმეტესისა შენდობად მოგიღებია შეუფისაგან, ნუუკუე შენცა თავი შენი გამოაჭუა კაცთმოყუარებისაგან **შისისა** და უმეტესი საშჯელი მიილო, რამეთუ მოგცა შენ კაცთმოყუარებად **შისი**, რომელი შენ ზედა ქმნა სახედ და შენ არა ემსგავსე მას.

32. **ს**ყავნ შენდა საბანელი იგი ნუ ჯორცთათვს ოდენ, არამედ ხატისათვსცა, ნუ ცოდვათა ოდენ განმბანელ, არამედ ჩუეულებათაცა მომწყუედელ, ნუ გამოსრულსამცა ოდენ მწვრესა წარრღუნის, არამედ წყაროსაცამცა განსწმედს, ნუ კეთილად შეკრებასამცა ოდენ გასწავლის, არამედ კეთილად განბწევასა და ბოროტად მოგებულისა მის განგდებასა, რამეთუ რაჲ სარგებელ არს, უკუეთუ შენ შეგენდოს ცოდვად იგი და შენგან ვნებულისა მის დაჭირვებად არა დაიწნას?

33. **ს**ა იყვენენ შენდა ორნი იგი ბოროტნი: მოგებად იგი ბოროტად და მოგებულისად მის ბოროტითა არა განბწევად, არამედ დამჭირვად, რამეთუ ერთისა მის შენდობად მიგიღებიეს, ხოლო მეორესა მაგას ან სცოდავ, რამეთუ დღეს უცხოად იგი მონაგები შენ თანა არს და არა უწინოქმნულ არს ცოდვად იგი, არამედ განკუეთილ არს საშუვალ. ჯამეთუ პირველი იგი ნათლისლებისა მიერ შენდობილ არს, ხოლო მეორე ეგე შემდგომად ნათლისლებისა ჰგიეს, ხოლო საბანელსა მას პირველქმნულთა მათ ცოდვათად აქუს შენდობად და არა რომელთა იქმოდ.

ჯერ-არს უკუე არა მოპოვნებად ოდენ სინმიდისად, არამედ დამტკიცებად და განბრწყინვებად სრულიად და არა ფერის დადებად ოდენ და არა დაფარვად ცოდვათად, არამედ სრულიად ავოცად მადლისა მიერ.

**ჩეტარ არიან, რომელთა მიეტევენენ უშჯულოებანი** – ესე სრულისა მის განწმენდისა სასწაული არს და **რომელთა დაეფარნენ**

ცოდვანი (ფს.31,1) – ესე მათი არს, რომელნი არა სრულიად განწმენდილ არიან. ჩეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს აფაღმან ცოდვად (ფს.31,2). 7სე მესამე დასი არს შეცოდებულთაჲ, რომელთა საქმწ არა საქებელ არს, ხოლო გონებაჲ – უბრალოდ.

33. ჯასა უკუე ვიტყვ, ანუ რაჲ არს ჩემი სიტყუაჲ? გუშინ იყავ სული ქანანეველი (მთ.15,22) და ცოდვისა მიერ შედრეკილი (ლკ.13,11), დღეს აღმართებულ ხარ სიტყვსა მიერ. 7ხილე, ნუ-უკუე კუალად შესდრეკე უკეთურისა მიერ დამძიმებითა და ძნიად აღსამართებელ იქმნას სიმდაბლე შენი.

7უშინ განწმებოდე დინებისა მისგან სისხლისა (ლკ.8,43), (რამეთუ აღმოაცენებდი მენამულსა მას ცოდვასა). 7ღეს განიკურნე და განწმად დინებაჲ იგი, რამეთუ შეეხე ფესუსა ჴრისტესსა (მთ.9,20 და 22; ლკ.8,44). 7აიცივე სინმიდე იგი, ნუუკუე კუალად მოინიოს შენ ზედა დინებაჲ იგი და ვერღარა უძლო მიახლებაჲ ჴრისტესსა, რაჲთამცა მოიპარე ცხორებაჲ, რამეთუ არა უყუარს ჴრისტესსა მრავალგზის წარპარვად, დაღაცათუ ფრიად სახიერ არს.

7უშინ დავრდომილ იყავ, სარეცელსა ზედა დაგდებული და განრლუეული, და არა გყვა კაცი, რაჲთამცა აღმრლუევისა წყლისასა შთაგადო ემბაზსა მას (ინ.5,7). 7ღეს ჰპოვე კაცი, და იგივე იმერთი, და უფროს იმერთი და კაცი. 7ღდეგ სარეცელისაგან და უფროსად თვთ შენ აღიკიდე სარეცელი შენი და განაცხადე ქველისმოქმედებაჲ იგი.

7კრძალე, ნუუკუე კუალად დაჰვარდე სარეცელსა მას ზედა ცოდვისასა, რომელ არს ბოროტი განსუენებაჲ ჴორცთაჲ, განრლუელთა გულისთქუმათა მიერ. 7რამედ ვიდრელა გაქუს სიმრთელე, ვიდოდე და იწსენებდი მცნებასა მას, ვითარმედ: აჰა, განიკურნე, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძვრესი რაჲმე შეგემთხვოს (ინ.5,14), უკუეთუ შემდგომად ქველისმოქმედებისა მის შენ ზედა ბოროტ იპოო.

7სჲ ესერა გესმა, ვითარმედ: «ზაზარე, გამოვედ გარე» – დიდისა მის წმისაჲ, სამარესა შინა მდებარესა (ინ.11,43), (რამეთუ რაჲ არს სიტყვსა მის უმაღლეს?!). 7ა გამოხუედ არა ოთხისა დღისა მკუდარი, არამედ მრავალთა დღეთაჲ. 7შესამისა მის დღისა აღდგომილსა თანა აღსდეგ და საკრველთა მათგან სიკუდილისათა განიწესნ.

7ხილე, ნუუკუე მოჰკუდე კუალად და იქმ-

ნა მკუდართა თანა საფლავისათა. ჩუცალა შეიკრვი საკრველთა მიერ ცოდვათა თვსთაჲსა, რამეთუ არა უწყი, თუმცა კუალად ასდეგ საფლავით (ფს.67,7) უწინარეს ყოველთა აღდგომისა, რაჲჲამს შეკრბენ ყოველნი დაბადებულნი შჯად, არა განკურნებად, არამედ განკითხვად და სიტყვს მიცემად თითოეულისა საქმეთათვს თვსთა, რომელნი-იგი კეთილად, ანუ ბოროტად დაიუნჯნა.

34. აკუეთუ კეთროვანი იყავ შენ ბოროტითა მით უშუერებითა ცოდვისაჲთა და განსწმდი აწ ნივთისა მისგან ბოროტისა და ხატი შენი მრთელად მიილე, მიჩუენე მე, მღდელსა, სინმიდე შენი, რაჲთა ვცნა, თუ რაჲზომ უპატიოსნეს არს ეგე შჯულიერისა მის განწმედისა. ჩუ იქმნები ცხრათა მათ უმაღლოთაგანი, არამედ მეთესა მას ემსგავსე, რამეთუ დაღაცათუ სამარტელ იყო, გარნა სხუათასა უფროსად ჰრწმენა (ლკ.17,14-18). 7ხოლო აწ ეკრძალე, ნუუკუე კუალად აჰყუავნე და ძნიად საკურნებელ იქმნე.

7სირველად განაწმობდა ჴელსა შენსა უწყალოებაჲ და ანგაჰრებაჲ (ლკ.6,6), დღეს განჰმარტენ იგი მოწყალებაჲმან და კაცთმოყუარებაჲმან. 7ეთილი სიმრთელე არს ჴელისა უძღურისა მიცემად გლახაკთაჲ და აღმოსხმად წყაროჲსა მის, ვიდრემდის ფსკერსაცა მივიწინეთ (ნუუკუე შენცა აღმოგიცენოს, ვითარცა სარეფთელსა მას და უფროსად, უკუეთუ დახუედ გამოზრდად ლიოჲსა – 3მეფ.17,9), რამეთუ კეთილი სიმდიდრე არს დაგლახაკებაჲ ჴრისტესთვს, ჩუენთვს დაგლახაკებულისა შის.

აკუეთუ ყრუ იყავ და უტყუ, სიტყუამან მან განგკურნა! იხილე, მოეკიდე მკურნალსა მას (მრკ.7,32-35) და ნუ დაიყოფ კუალად ყურთა სწავლათა მიმართ საღმრთოთა, ვითარცა ასპიტი მსახრვალთა მიმართ (ფს.57,5-6). აკუეთუ ბრმაჲ ხარ და განუნათლებელ, განანათლენ თუალნი შენნი, ნუუკუე დაიძინო სიკუდილად! (ლკ.18,35-43; ფს.12,4). ჩათლითა აფლისაჲთა იხილე ნათელი (ფს.35,10), სულითა იმრთისაჲთა ძწ გამოიბრწყინვე, სამგუამოვანი იგი ნათელი და განუყოფელი! უკუეთუ სიტყუაჲ იგი სრულიად შეინწყნარო, ყოველნივე კურნებანი ჴრისტესნი სულსა შორის შენსა შემოიკრიბნე, რომელი-იგი თითოსახედ განიკურნო.

ადენ გულისწმა-ყავ საზომი იგი მადლისაჲ მის, ოდენ ნუმცა დასთესავს მტერი ლუარძლსა შენ შორის, რაჲჲამს-იგი გეძინოს (მთ.13,25)



და უზრუნველ იყო. ჟოროტად ოდენ კუალად ნუმცა სანყალობელ ჰყოფ თავსა შენსა, რომელი-ეგე ქმნილ ხარ საშურველ მტერისა მიერ სინშიდისათვს. ოდენ ნუმცა განიხარებ და აჰ-მაღლდები კეთილსა მას ზედა უზეშთაეს ზომისა და დაეცე ამაღლებასა მას შინა შენსა. ოდენ მარადის სინშიდისა მის მიმართ იღუ-ნიდი და აღსლვად გულსა თვსსა დაიდევ და მოტევებად ეგე ცოდვათაჲ, რომელი მოგეცა მაღლითა იმრთისაჲთა, მოღუანებითა შენითა დაიმარხე (ფს.83,6), რაჲთა მოტევებად იგი იყოს იმრთისა მიერ, ხოლო დამარხვად მოტევებისაჲ იქმნას შენგანცა.

35. ჟოლო იქმნას, ვითარ უკუეთუ იწსენებდე მარადის იგავსა მას და თავსა თვსსა შეენიო სრულიად და კეთილად. ჟამეთუ აჰა ესერა გამოვიდა შენგან არანშიდაჲ იგი და ნივთიერი სული და განიდევნა ნათლისღებისა მიერ. ლრა თავს-იდებს იგი დევნულეებასა მას და რაჲთამ-ცა უსახლო და უმკვდრო იყო, მივალს ქუეყ-ანათა ვმელთა და ურწყულთა საღმრთოჲსა დინებისაგან.

სენებავს მუნ ყოფად და მიმოვალს, რაჲთამ-ცა პოვა განსუენებაჲ. ჟერ ჰპოვებს. ჩათელღე-ბულთა სულთა მიემთხუევის, რომელთა უკე-თურებაჲ საბანელმან წარრღუნა (ლკ.11,24-25). შინის წყლისა მისგან, რამეთუ მოიშთევის, უკუეთუ შევიდეს სინშიდესა მას შინა, ვითარ-ცა ლეგეონი ზღუასა შინა. ჟუალად მოიქცევის იგი სახედვე თვსა, ვინაჲცა განვიდა (მრკ.5,9-13). ორცხვნო არს იგი და მაცილობელ: კუალად მოგეცდების, კუალად ბრძოლა-გიყოფს. ოკუე-თუ პოვოს ჟრისტი შემოსრული და კუალად აღვსებულ იყოს შის მიერ ადგილი იგი, რომელი მან დააცარიელა, წარიდევნა კუალად, წარვიდა ურგებად და უქმად, სანყალობელ იქმნა იგი მიმოსლვისა მისთვს მისისა.

ოკუეთუ კულა პოვოს ადგილი იგი სულისა შენისაჲ, შემკული და შეკაზმული და ცალიერი და უქმი და მზად შეწყნარებად ყოვლისავე, რომელიცა პირველად მოვიდეს, მაშინ სწრაფით შევიდის და დაიმკვდრის უმეტესითა ძალითა და იქმნის უკუანაჲსკნელი უძვრეს პირველისა (მთ.12,44-45), რამეთუ მაშინ იყო სასოებაჲ აღმ-ართებისაჲ და შეკრძალვისაჲ, ხოლო ან საც-ნაურ არს ბოროტი იგი და მტკიცე, რამეთუ სივლტოლითა მით კეთილისაჲთა ბოროტი იგი მოვიდა და ამისთვს უმტკიცესად აქუს მომგებ-ელსა მას სამკვდრებელი იგი.

36. ჟუალად მოგავსენო შენ ნათლისღები-სათვს და მრავალგზის სიტყუათაგან წმიდათა ჩერილთაჲსა, რამეთუ მეცა უმეტესად ვიშუებ წსენებითა მისითა (რამეთუ რაჲ უტკბილეს არს ნათლისა?) და შენცა განგაბრწყინვო სიტყუათა მათ მიერ: ნათელი გამოუბრწყინდა მართალ-თა და მეუღლე მისი სიხარული (ფს.96,11) და ნათელი მართალთაჲ სამარადისოდ (ეს.60,19; იგ.13,9), და განანათლებ შენ საკვრველად მთა-თაგან საუკუნეთა (ფს.75,5).

იმრთისა მიმართ ითქუმის ესე, ხოლო მთად ვჰგონებ, თუ ძალთა მათ ანგელოზთაჲსა იტყვს, რომელნი შეგუენევიან ჩუენ კეთილისა მიმართ. ლა კუალად მესმა ლავითისი, რომელი იტყოდა: ოფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, მე ვისგან მეშინოდის? (ფს.26,1). ოდესმე ითხოვს: გამოავლინე ნათელი ჟენი და ჟქმმარტივებაჲ ჟენი (ფს.42,3); და ოდესმე კუალად ჰმადლობს, რამეთუ მიილო იგი, რაჟამს-იგი გამოჩნდა ნა-თელი შისისა პირისაჲ მის ზედა (ფს.4,7), ესე იგი არს, ვითარმედ გამოცხადნეს სასნაულნი იგი მოცემულისა მის ბრწყინვალეებისანი.

ლრთისა ოდენ ნათლისაგან ვივლტოდით, რომელი-იგი ნაშობი არს მწარისა მის ცე-ცხლისაჲ, ნუმცა ვალთ ნათლითა ცეცხლისა ჩუენისაჲთა და ალითა მით, რომელი ჩუენ აღვატყინეთ (ეს.50,11). ჟამეთუ ვიცი მე ცე-ცხლი განმნმედელი, რომლისა მოფენად მოვ-იდა ჟრისტე ქუეყანად (ლკ.12,49), რომელსა თვთ ცეცხლ ეწოდების სიტყუთა მით გულისწ-მისყოფისაჲთა, რომელ-იგი არს შემწუველი ყოვლისავე ბოროტისა (ებრ.12,29; || სჯ.4,24), რომელსა ჰნებავს ადრე აღგზებაჲ (ლკ.12,49), რამეთუ სურის მას კეთილისყოფისა ჩუენი-სათვს, ვითარცა-იგი ცეცხლისაჲცა ნაკუერცხ-ალთა მოგუცემს ჩუენ შემწედ (ეს.47,14-15).

ლრიც კუალად ცეცხლიცა – არა განმნმედე-ლი, არამედ შემწუველი, გინა თუ სოდომელთაჲ იგი (შესქ.19,24), რომელი მოვალს ყოველთა ზედა ცოდვილთა წუნწუბითა და ნიაგ-ქარი-თა აღრეული (ფს.10,16), გინა თუ რომელი-იგი განმზადებულ არს ეშმაკისათვს და ანგელოზ-თა მისთათვს (მთ.25,41), გინა თუ რომელი-იგი წინაშე პირსა ოფლისაჲსა ვალს და შესწუავს გარემო მტერთა მისთა (ფს.96,3).

ლა კუალად ამათსა უსამინელესი იგი, რომელი მატლსა მას თანა უძილოსა შეყოფილ არს, რომელი არა ოდეს დაშრტების, არამედ საუკუნო არს ცოდვილთათვს. ჟამეთუ ესე

ყოველი ძალისა მის განმწმუნელისაჲ არს, და-  
ლაცათუ ესეცა სახე არს კაცთმოყუარებაჲ მი-  
სისაჲ და ღირსი მისისა სახიერებისაჲ.

37. *წითარცა უკუე ცეცხლი ვიცი ორი, ეგ-  
რეთვე ნათელი, რამეთუ ერთი იგი გონებისა  
ნათელსა განაბრწყინვებს და წარჰმართებს  
სლვათა ჩუენთა იმრთისა, ხოლო მეორე იგი  
მატუური არს და მტყუვარი და ჭეშმარიტისა  
მის ნათლისა წინააღმდეგომი, რომელი იჩემებს  
ნათელსა მას, რაჲთამცა გუაცთუნნა. ჴგი ბნე-  
ლი არს და ნათლად ჩანს დიდად ბრწყინვალედ.  
სე ლამე არს და დღედ იჩემებს და ეჩუენების  
განწმუნითა მათ შუებისა მიერ (ეს.5,20).*

ქამეთუ ისმინე, რასა იტყვს **წავით**: *ბნელი  
იყო ჩემ ზედა და არა უწყოდე, არამედ შუებაჲ  
იგი ნათლად შემერაცხა (ფს.138,11). წრამედ  
იგინი ესრეთ იყვნენ და ესრეთ აქუნდინ, ხოლო  
ჩუენ განვანათლნეთ თავნი ჩუენნი ნათლითა  
გულისწმისყოფისაჲთა, ხოლო ესე ამის მიერ  
ყოფად არს, უკუეთუ ვსთესვიდეთ სიმართლე-  
სა და მოვიძვიდეთ ნაყოფსა ცხორებისასა  
(ოს.10,12), (რამეთუ საქმე ხედვისა წინამძ-  
ღუარ არს), რაჲთა სხუათა მათ საქმეთა თანა  
ესეცა ვისნაოთ, თუ რაჲ არს ჭეშმარიტი იგი  
ნათელი, ანუ რაჲ არს მზაკუვარი იგი და რაჲთა  
არა ვსცთეთ და შთავვარდეთ ბოროტსა შინა,  
ვითარცა კეთილსა.*

*წიქმნნეთ ნათელ, ვითარცა მოწაფეთა მათ  
ესმა დიდისა მის ჩათლისა მიერ, ვითარმედ:  
თქუნ ხართ ნათელნი სოფლისანი (მთ.5,14),  
ვიქმნნეთ ნათელ სოფელსა შინა და ვიპყრათ  
სიტყუად იგი ცხორებისაჲ (ფლპ.2,15-16), რომელ  
არს ძალი იგი ცხორებისაჲ სხუათა მიმართ.  
შოვიგოთ იმრთეებაჲ ჩუენ შორის, მოვიგოთ  
პირველი იგი და უზეშთაესი ჩათელი.*

*წიდოდით ნათლითა შისითა (ბარ.4,2), ვიდ-  
რელა არა შეცთომილ არიან ფერჴნი ჩუენნი  
მთათა ზედა ბნელთა (იერ.13,16) და ბოროტთა,  
ვიდრელა დღე არს, ვითარცა დღისი ხატად  
შუენიერად ვიდოდით, ნუ განფრთხოებითა და  
მთვრალობითა, ნუ შეგინებითა და ბილნებო-  
თა (რომ.13,13), რომელნი-ესე ბნელისა საქმენი  
არიან.*

38. *ყოველნივე ასონი ჩუენნი, ძმანო, განვი-  
წმიდნეთ, ყოველნივე საცნობელნი ჩუენნი შე-  
ვამკვნეთ, ნუმცა რაჲ იპოების ჩუენ თანა არან-  
მიდაჲ და პირველისა მის შობისაჲ. ჩუმცა რას  
დაუტეევობთ განუწათლებლად, განვანათლნეთ  
თუალნი ჩუენნი, რაჲთა მართლიად ვხედვი-*

დეთ, რაჲთა არარაჲ კერპი სიძესაჲ ჩუენ თანა  
გუაქუნდეს ბოროტისაგან და მზაკუვარისა  
ხედვისა, რამეთუ დალაცათუ ვნებასა მას არა  
თაყუანის-ვსცეთ, არამედ სული შეიგინების.  
5 *აკუეთუ რაჲმე დვრე იყოს ჩუენ თანა, ანუ  
წუელადცა, განვიწმიდოთ, რაჲთა სხუათასაცა  
ხედვად ძალ-გუედვას.*

*წანვანათლნეთ სასმენელნიცა, განვანათ-  
ლოთ ენადცა, რაჲთა გუესმას ჩუენ, რასაცა  
იტყოდის აფალი იმერთი ჩუენი (ფს.84,9) და  
სასმენელ ჩუენდა იქმნას განთიად წყალობაჲ  
მისი (ფს.142,8). წა გუესმას ჩუენ გალობაჲ და  
სიხარული სასმენელითა წმიდითა (ფს.50,10),  
რაჲთა არა ვიყვნეთ მახვლ ორპირ (ფს.56,5),  
10 *ანუ სამართებელ აღლესულ (ფს.51,4) და არცა  
იყოს ენასა ჩუენსა ქუეშე შრომაჲ და საღმობაჲ  
(ფს.9,28), არამედ ვიტყოდით სიბრძნესა იმრ-  
თისასა, საიდუმლოდ დაფარულსა (1 კორ.2,7),  
და ენათა მათგან ცეცხლისათა შევიკდიმოთ  
20 (გამც.2,3).**

*წანვკურნნეთ საყნოსელნი ჩუენნი, რაჲ-  
თა არა შევიგინებოდით მათ მიერ და არა  
გუეცემოდის სულისა წილ ტკბილისა სული  
სიმყრალისაჲ, არამედ ვიყნოსოთ სულიერად  
ნელსაცხებელისა მისგან, რომელი ჩუენთვს  
25 *წარმოიცალიერა. წა ესრეთ მოვილოთ მისგან  
და შევიცვალნეთ, რაჲთა თვთ იგიცა იყნოსდეს  
სურნელებასა ჩუენსა (ეფ.5,2).**

*წანვიწმიდნეთ ჴელნი, პირი, სასაჲ. ჩუმცა  
ჴელთა მიერ გუევნების, ნუცა გულისსათქუ-  
მელთა საქმეთა ზედა გვზარის, არამედ სიტყუ-  
ასა მას, განწორციელებულსა ჩუენთვს, ვჰმ-  
სახუროთ ჴელითა ჩუენითა და გამოვიძიოთ  
35 *წგი, ვითარცა ღირსი. წა წომას ამას ზედა  
ვემსგავსნეთ, ნუ სანოვაგეთა მიერ და საშუე-  
ბელთა აღვიძრვით, რომელი-იგი დედაჲ არს  
უმწარესთა მათ აღძრვათაჲ.**

*წრამედ განვიცადოთ და ვიხილოთ, რა-  
მეთუ ტკბილ არს აფალი (ფს.33,9). წიხილოთ  
გემოჲ იგი სიტკბოებისაჲ მის, კეთილისა და  
წარუვალისაჲ, და ნუცა ყოლად ნება-ვსცემთ  
40 *მწარესა მას და უმადლოსა მუცელსა, რომე-  
ლი მიიღებს და არა დაჰმარხავს მიღებულსა  
მას, არამედ დავატკბოთ სასაჲ ჩუენი სიტყუა-  
თა მათ მიერ, რომელნი უტკბილეს თაფლისა  
არიან (ფს.18,11).**

39. *წმას ყოველსა ზედა კეთილ არს თავი-  
საცა განწმედაჲ, რაჲთა გან-რაჲ-წმდეს თავი,  
სამკვდრებელი იგი საცნობელთაჲ, მოეკიდოს*

თავსა მას ყოველთასა ჴრისტეს, რომლისა მიერ ყოველი გუამი შეინანევრების და შეიერთების (კოლ.2,19; ეფ.4,16) და მან დასცეს ჩუენ ზედა ამაღლებული იგი ცოდვად, აღ-რამაღლდეს ჩუენ ზედა.

ჴეთილ არს წმიდა-ყოფად მწართადცა, რა-ათა ძალ-ედვას ჴუარსა ჴრისტესსა ტვრთვად, რომელი ვერ ყოველთა მიერ ადვილად სატვრთავი არს; კეთილ არს ჴელთადცა სრულყოფად და ფერვთად, რათა ჴელნი ყოველსავე ადგილსა ამაღლდებოდინ იმრთისა სინშიდ-ით (1 ტიმ.2,8) და მიიღებდენ ჴრისტეს სწავლასა, ნუჟუე განრისხნეს **აფალი** (ფს.2,12) და გუერნზუნოს ჩუენ სიტყუად საქმისა მიერ, ვითარცა ჴელთა მათ შინა წინადასწარმეტყუელისა მის მიცემული (იერ.50,1), ხოლო ფერვნი, რათა არა მოსწრაფე იყენენ დათხევად სისხლისა და არცა რბიოდინ ბოროტისა მიმართ (იგ.1,16), არამედ განმზადებულ იყენენ სახარებისა მიმართ და გვრვვნისა მიმართ ზეცათაჲსა (ფლპ.3,14) და რაჟამს ჴრისტე დაგუბანდეს და განგუნმედდეს, შევიწყნაროთ.

წრს მუცლისა განწმედა, დამტევენელისა და გამომღებელისა საზრდელთა მათ სიტყუსათა. **ბა** კეთილ არს, რათა არა იმერთ-ვყოთ იგი შუებისა მიერ და ჴამადთა მათ განქარვებადთა, არამედ რათა განვწმიდოთ იგი და დავანურილოთ, რათა სიტყუად **აფლისა** შეინწყნაროს და ელმოდის კეთილად **უსრავლისათჳს** ცთომილისა.

ჴჰპოებ გულსაცა და შინაგანთა მათ ასოთა, რამეთუ ლირს არიან პატივისა. **ბა** დამარწმუნებს ამას **ბავით**, რომელი გულსა წმიდასა ითხოვს მოგებად მის შორის და სულსა წრფელსა განახლებად გუამსა მისსა (ფს.50,12) და ევგონებ, თუ გულისსიტყუათა ადგილსა მომგონებელსა მოასწავებდა ესრეთ.

40. ჴად ვთქუათ უკუე ნელთათჳს, ანუ თირკუმელთათჳს? ნუცა ამათ თანა-წარჰვალთ, არამედ ამათცა შეეხენ სინშიდე იგი. **ყვენენ ნელნი თქუენნი მორტყმულ და დანყნარებულ მარხვისა მიერ, ვითარცა-იგი პირველ უსრავლი**, რაჟამს შეჟულიერად **სასეჟსა მას მიიღებდა** (გამს.12,11), რამეთუ ვერვინ გამოვალს წმიდად **სეკუბით**, ვერცა განერების მომსრველისა მისგან, უკუეთუ ესე ყოველი არა წმიდა-ყოს.

ჴოლო ჩუენ კეთილითა მით შეცვალებითა შევიცვალნეთ და ყოველი გულისთქუამა ჩუენი შევიცვალოთ **აფლისა**, რათა ესრეთ

ძალ-გუედვას თქუამად: **აფალო**, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქუამა ჩემი (ფს.37,10) და დღისათჳს კაცთაჲსა არა მსუროდა (იერ.17,16), რამეთუ ჯერ-არს ჩუენდა, რათა ვიქმნნეთ **კაცნი გულისთქუმითა მით სულისაათა სავსენი** (დან.9,23), რათა ესრეთ დაიკნნას ვეშაპი იგი, რომელსა აქუს დიდი ძალი თჳსი უტესა ზედა და ნელთა, რაჟამს-იგი ძალი მისი ასოთა მათ ზედა მოუძღურდეს (იობ.40,11).

10 **ბა** ნუ გიკვრს, უკუეთუ სარცხვნელთაცა ჩუენთა უმეტესსა პატივისა მივსცემ (1 კორ.12,23) და სიტყუსა მიერ მოვაკუდინებ მათ და წმიდა-ვჰყოფ და ნივთსა მას წინა-აღუდგები. **ყოველნივე** ასონი ჩუენნი შევწირნეთ იმრთისა ჴუეყანასა ზედა (კოლ.3,5), ყოველივე წმიდა-ვყოთ, ნუ ადგილსა ოდენ ღვძლისასა, ნუცა თირკუმელთასა ცმელითურთ, ნუცა სხუასა რასმე ერთსა ადგილსა გუამისასა შევწირავთ (ლევ.8,25), ვითარ-იგი პირველნი იქმოდეს, რამეთუ რაჲსათჳს უპატივო-ვყვენთ სხუანი იგი ასონი ჩუენნი? არამედ ყოვლითურთ შევწირნეთ თავნი ჩუენნი **აფლისა**.

ჴიქმნნეთ მსხუერპლ სიტყვერ, შესაწირავ სრულ. **ნუცა მკლავსა ოდენ, ნუცა მკერდსა ოდენ ვჰყოფთ ადგილ სამღდელო** (ლევ.7,34), (რამეთუ მცირე არს ესე), არამედ სრულიად მივსცნეთ თავნი ჩუენნი და სრულიადცა მოგუეცეს, რამეთუ ესე არს მოღებად კეთილი: მიცემად იმრთისა და აღსრულებად ცხორებისა ჩუენისა.

41. **წმას ყოველსა ზედა და უწინარეს ყოვლისა დამიმარხე მე კეთილი იგი ნამარხევი**, რომლისა მიერ ცხოველ ვარ (2 ტიმ.1,14) და რომლისა მიერ ვიყოფვი და რომელი-იგი ჩემ თანამცა მავალ არს და ჩემ თანამცა განსრულ ჟამსა მას სიკუდილისასა, რომლისათჳს ყოველსავე ჴირსა თავს-ვიდებ და ყოველსავე შუებასა შეურაცხვჰყოფ, რომელ არს შამისა და ძისა და სულისა წმიდისა აღსაარებად.

45 **წმას** გარწმუნებ შენ დღეს, ამას მიგანდობ, ამის თანა ნათელ-გცემ და აღმოგიყვან. **წმას** მოგცემ ყოვლისავე ცხორებისა შენისა ზიარად და ჴელისა ამპურობელად, ერთსა მას იმრთეებასა და ძალსა, რომელი იპოების სამთა მათ შორის ერთობით და სამსა მას შემოჰკრებს განყოფილად. **წრცა** უწესოა არს ბუნებითა, ანუ არსებითა, არცა აღორძნდების და დააკლდების გარდამატებულებითა და დამცირებითა. **ყოვლითურთ** სწორ არს, ყოვლით კერძო

იგივე არს, ვითარცა ერთი ცისა შუენიერება და სიდიდე.

სამთა მიუნდომელთა მიუნდომელი ერთობა – თითოეული თვსაგან იმრთად იხილვების, ვითარცა შამაჲ, ეგრეთვე ძღ, ვითარცა ძღ, ეგრეთვე სული ჩმიდაჲ, თითოეულისა თვთებაჲ დამარხულ არს. იმერთ არიან სამნივე ზოგად გულისწმისაყოფელნი: იგი – ერთარსებისათვს და ესე – თვთმპყრობელობისათვს. ჴერ ვენიფები ერთისა გულისწმის-ყოფად და სამთა მათ მიერ განვბრწყინდები.

ჴერ ვენევი სამთა მათ განყოფად და ერთისა მიმართ აღვალ. ჯაჟამს ერთი რაჲმე სამთაგან მეჩუენოს, ეგრეთ ჰგონებ, თუ ყოველივე ესე არს და სახედველი ჩემი აღივსო და უმეტესი იგი ვერ ვიხილე. ჴერ მივსწუთები სიდიდესა მისსა, რაჲთამცა ნამეტნავი იგი მივეც ნაკლულევანსა მას ხედვითა გონებისაჲთა. ოდეს სამნივე იგი შემოვკრიბნე, ერთსა ბრწყინვალეებასა ვხედავ, ვერ ძალ-მიც ჩათლისა მის განყოფად.

42. ჴემინის-ა შენ შობისაგან იმრთისა, ნუჟუე ვენოს რაჲმე იმერთსა, რომელსა-იგი არარაჲ ვენების? არამედ მე მეშინის დაბადებულეებისათვს, ნუჟუე განვვარდე იმრთისაგან შეურაცხებითა მით და უფეროთა განკუეითთა, რაჟამს-იგი ანუ ძღ განვკუეითო შამისაგან, ანუ ძისაგან არსებაჲ იგი სულისაჲ, რამეთუ საკრველი ესე არს, რომელ არა ოდენ დაბადებულეებაჲ მოვალს იმრთისა ზედა ბოროტთა მათ იმრთისა მოფარდულთაგან, არამედ კუალად დაბადებულეებაჲ იგი თავსა ზედა თვსსა განიყოფვის.

და ვითარცა-იგი შამისა ძღ უდარესად შეურაცხიეს ქუე მდაბალთა მათ ქუემდებარეთა მწვრესა შინა, ეგრეთვე კუალად პატივისაგან ძისა უდარეს ჰყოფენ სულსა ჩმიდასა, რაჲთა იმერთიცა და დაბადებული შეურაცხ-იქმნებოდის ახლითა ამით იმრთისმეტყუელებითა.

ტრცა ერთი არს სამებისაგანი, ჳ კაცნო, მონა, ანუ დაბადებულ, ანუ უკუანაჲსკნელ შემოსრულ, ვითარცა თქუა ბრძენმან ვინმე. ნა ნეტარი **სავლე** იტყვს, ვითარმედ: *უკუეთუმცა ჯერეთ კაცთა სათნო-ვეყოფვოდე, ჴრისტესმცა მონაჲ არღარა ვიყავ* (გალ.1,10). ოკუეთუმცა ჯერეთ დაბადებულსა თაყუანის-ვსცემდი, ანუმცა დაბადებულისა მიერ ნათელ-ვილებდი, არამცა იმერთ ვიქმნებოდე, ვერცამცა მოვილებდი პირველსა მას პატივისა და შობასა.

ჯაჲ ვჰრქუა ამათ, რომელნი კერპთა თაყუ-

*ანის-სცემენ* (3 მეფ.11,5-7), *ანუ სახესა ვარსკულავთასა, რომელი-იგი დაღაცათუ კერპთასა უფრო არს მცირედ იმრთად ყოფად* (ამოს.5,26), არამედ იგიცა დაბადებული არს უნდოჲ, რაჟამს-იგი მე არა თაყუანის-ვსცემდე ორთა მათ, რომელთა მიერ ნათელ-ვიდე, ანუ თაყუანის-ვსცემდე მსგავსთა ჩემთა მონათა?! რამეთუ მსგავს ჩემდა მონა არიან, დაღაცათუ მცირედ პატივითა უზეშთაეს იყვნენ, რამეთუ მონათაცა შორის არს განყოფილებაჲ რაჲმე და პატიოსნებაჲ ერთისა ვიდრე მეორისაჲ.

43. ოკუეთუ ვინებო, რაჲთამცა ვთქუ – შამაჲ უზეშთაეს არს, ჴომლისაგან არს სწორებაჲ იგი სწორთაჲ შათ, რამეთუ ესე ყოველთა მიერ ითქუმის მტკიცედ – მეშინის, ნუჟუე მთავრობაჲ იგი უდარესთა მთავრობად ვთქუა, რამეთუ არა დიდებაჲ არს, რომლისა მიერისაჲ მის ერთისაცა შინგანთაგანისა დამდაბლებაჲ.

ნა კუალად ამას ზედა შენსაცა ურწმუნობებასა ვიშიშვი, ნუჟუე უზეშთაესობაჲ იგი მოილო და მერმე განჰყო ბუნებაჲ და ყოველსავე ზედა უზეშთაესსა მას იწმარებდე, რამეთუ არა ბუნებით არს უზეშთაეს, არამედ მიზეზითა, რამეთუ ერთარსთაგანი არარაჲ არს ბუნებით მეორისა უზეშთაეს ანუ უდარეს. ოკუეთუ ვინებო, თუმცა ძესა პატივ-ვეც უფროჲს სულისა, ვითარცა ძესა, არა შემინდობს მე ნათლისღებაჲ, რომელმან სრულ-მყო სულისა მიერ.

ტრამედ გემინის, ნუჟუე სამთა იმერთთათვს იყუედრო? გაქუნდინ შენ კეთილი იგი სამთა შორის ერთობაჲ და ყოველივე ბრძოლაჲ ჩემდა მოავლინე. შიტვე მე, რაჲთა ვიყო მენავეთმოძღუარ და შენ იწმარე ნავი იგი, დაღაცათუ სხუაჲ არს მენავეთმოძღუარი, მე მიმიყვანე ხუროთმოძღურად სახლისა შენისა და შენ დაემკვდრე მას შინა უზრუნველად, დაღაცათუ არას დამაშურალ ხარ, რამეთუ დაღაცათუ არაჲ გიქმნიეს შენ, არამედ არარაჲვე გვენოს კეთილად სლვისათვს, გინა კეთილად ვდომისა ჩემთა მათ შრომათა შინა.

ქედავ-ა ერთგულებასა მას? ხედავ-ა სიტკობობასა მას სულისასა? ჩემი იყავნ ბრძოლაჲ და შენი იყავნ ძლევაჲ. შე ვიცემებოდი და შენ იყავ მშვდობით. ნა წინამბრძოლისა მისთვს ილოცევდი და ჴელსა აღუპყრობდი საწმუნობითა. *შქონან მე სამნი ქვანი, რომლითა დავსცე უცხოთესლი იგი* (1 მეფ.17,40). *შქონან მე სამნი შთაბერვანი ძისა მის მიმართ საჩრფეთელისა, რომლითა ცხოველ-ვყო იგი მომ-*

კუდარი (3 მეფ.17,21). *ქონან სამნი სანყაულნი შეშასა მას ზედა საკურთხეველსა, რომლითა შევწუა მსხუერპლი იგი, აღ-რად-ვადგინო წყლითა ცეცხლი* (3 მეფ.18,34; 18,25), რომელი-იგი არს საკურველ და მღდელნი იგი სირცხვლისანი მოვსრნე ძალითა მით საიდუმლოვსაათა.

44. ჯად საწმარ არიან ჩემდა მრავალნი სიტყუანი, რამეთუ სწავლისაჲ არს ჟამი ესე და არა სიტყვსგებისაჲ! ვნამებ წინაშე იმრთისა და რჩეულთა მათ ანგელოზთა მისთა, ვითარმედ ამით სარწმუნოებითა ნათელ-ილო. *აკუეთუ სხვთა სახითა დაწერილ ხარ და არა ესრეთ, ვითარ მე ვიტყვ, მოვედ და კუალად გარდაიწერე. შე ამით საქმეთა არა გამოუცდელი მწერალი ვარ: რადთამცა დაგწერე, ვითარცა მე დაწერილ ვარ და გასწავე, რომელი-ესე მისწავიეს და დამიმარხავს პირველითგან ვიდრე ამით მცეტეამდე. ხემი იყავნ ღელვავ და ჩემი იყავნ პატივიცა, რომელი-ესე მნე ვარ სულისა შენისაჲ და სრულმყოფელი შენი ნათლისღებისა მიერ.*

*აკუეთუ ესრეთ გაქუს და კეთილად დაწერილ ხარ, დაიცევ წერილი იგი ცვალებასა ჟამთასა უცვალებელად ეგე უცვალებელთა მაგათ საქმეთათჳს. უმსგავსე სილატეს, კეთილსა ზედა ბოროტად მწერალსა მას კეთილად მწერალი ეგე. წრქუ მიმდრეკელთა მათ შენთა: რომელი დაგწერე, დაგწერე* (ინ.19,22), რამეთუ სირცხვლ არს, უკუეთუ ბოროტი ეგოს უცვალებელად და კეთილი ადრე იცვალებოდის. *ჯერ-არს, რადთა ადვილად შეიცვალებოდით კეთილისა მიმართ ბოროტისაგან და კეთილისაგან ბოროტისა მიმართ შეუცვალებელ იყვნეთ.*

*აკუეთუ ესრეთ ნათელ-ილებ ამით სარწმუნოებითა, აჰა ესერა ბაგენი ჩემნი არა დავაყენნე* (ფს.39,10), აჰა ესერა დაგასხამ ჳელთა! სულითა ვისწრაფოთ ცხორებისა მიმართ, აღვდგეთ ნათლისღებად! სული იგი ოხრის, გულსმოდგინე არს სრულმყოფელი, ნიჭი იგი მზა არს. *აკუეთუ კულად ჯერეთ ორგულობ და არა შეინყნარებ სრულებასა იმრთეებისა, მაშა სხუასა ეძიებდი ნათლისმცემელსა და, უფროვსად, დამაბნელებელსა, რამეთუ ჩემდა არა შესაძლებელ არს განკუეთათ იმრთეებისაჲ და მოკუდინებაჲ შენი ჟამსა მას მეორედ შობისასა, რადთა არცალა მადლი იგი გაქუნდეს, არცალა სასოებაჲ იგი მადლისაჲ მის და მეყსა შინა წარსწყმიდო ცხორებაჲ შენი, რამეთუ რომელიცა იმრთეებისაგანნი დაამცირო, ყოვე-*

ლივე დაგიმჯვეს, და სრულებაჲცა შენი.

45. *აკუეთუ კულა ჯერეთ არა არს ერთიცა სახც სულსა შინა შენსა, არცა კეთილისა წერილისაჲ, არცა ბოროტისაჲ და დღეს გიჳმს დაწერაჲ და სრულ-ყოფაჲ ჩუენ მიერ, შინაგან ღრუბლისა შევიდეთ, მომცენ ფიცარნი გულისა შენისანი, გექმნა შენ შოსედ: დალაცათუ კადნიერ არს სიტყუად ესე, დაგწერო თითითა იმრთისაჲთა ახალი ჰჯული ათთა მათ მცნებათაჲ, დაგწერო მოკლედ ცხორებაჲ. აკუეთუ კულა ვინმე იყოს მვეც ბოროტ, ქუე დაადგერინ, ანუ უკუეთუ აღმოვიდეს, მოკუდეს ქოლვითა სიტყვსა მიერ ჭეშმარიტებისა.*

*ნათელ-გცემ შენ სახელითა შამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, ხოლო ზოგადი სახელი სამთაჲ მათ ერთი არს – იმრთეებაჲ. შა გულისწამა-ჰყო სახითაცა და სიტყვთა, ვითარმედ ყოველსავე უმჯულოებასა განსდევნი შენგან, რაჟამს ესრეთ ყოვლითურთ იმრთეებასა შეეყო. სრწმენინ, ვითარმედ ყოველი სოფელი, ხილული და უხილავი, არარაჲსაგან იმრთისა მიერ დაებადა და განგებითა მით დამბადებელისაჲთა ჰგიეს და შეცვალებად არს უმჯობესად.*

*სრწმენინ, ვითარმედ არა არს არსებაჲ რადმე ბოროტისაჲ და უკეთურებისაჲ და არცა სუფევაჲ და არცა დაუსაბამო არს უკეთურებაჲ, არცა თავით თვსით მოსრული, არცა იმრთისაგან დაბადებული, არამედ ჩუენი საქმც არს იგი და ეშმაკისაჲ, რომელი მოინია ჩუენ ზედა უკრძალველობისაგან ჩუენისა და არა დამბადებელისა მიერ.*

*სრწმენინ ძც იმრთისაჲ, უწინარეს საუკუნეთა სიტყუად, ჯომელი იშვა შამისაგან უჟამოდ და უჯორცოდ. შა სგი უკუანაჲსკნელთა ჟამთა იშვა შენთჳს და ძე კაცისა იქმნა ჴალწულისა შარიამისგან, გამოუთქუმელად და უვნებელად და უბინოდ (რამეთუ სადა იმერთი იყოს, მუნ არა იპოების ბინი, სადა-იგი იყოს ყოველთა ცხორებაჲ); გრწმენინ სგი იმრთად სრულად და კაცად სრულად ვნებულისა მისთჳს, რადთა ყოვლითურთ ცხორებაჲ მოგანიჭოს დაწსნითა მით საშჯელისა მის ცოდვისა. სრწმენინ იგი უვნებელი იმრთეებითა და ვნებული ჩუენგან მიღებულთა მით ბუნებითა! ესე ზომ კაც იქმნა შენთჳს, ვიდრემდის იქმნა შენ შის მიერ იმერთ.*

*უსე ცოდვათა ჩუენთათჳს და უმჯულოებათა მიიყვანა სიკუდილად, ჴუარს-ეცუა, დაეფლა და იხილა გემოდ სიკუდილისაჲ. წდდგა*

მესამესა დღესა და ამალღდა ზეცად, რათა შენ აღგიყვანოს თვს თანა, ქუე მდებარე ეგე. **შა** მოსლვად არს კუალად განშჯად ცხოველთა და მკუდართა დიდებულთა მით მოსლვითა მისითა, არღარა ჳორციითა, არცა უჳორცოდ, *არამედ ვითარითა მან მხოლომან უწყის – იმრთისა მსგავსითა ჳორციითა, რათა იხილვოსცა განმგუმერელთა მათ მიერ მისთა* (გამც.1,7) და ეგოს იმერთი გარეგან სიზრქისა. **შ**მას ყოველსა ზედა გრწმენინ აღდგომად, საშჯელი და მისაგებელი სამართალთაებრ საშჯელთა მათ იმრთისათა.

**შა** ვითარმედ ჳგი არს ნათელი განწმედილთათვს ბუნებითა – ესე იგი არს ხედვად იმრთისა და გულისჳმის-ყოფად საზომისაებრ სინშიდისა თითოეულისა, რომელსაცა სასუფეველად **ჯ**ათად სახელვსდებთ. **შა** კუალად ბნელი დაბნელებულთათვს ბუნებითა – ესე იგი არს უცხო-ყოფად იმრთისაგან საზომისაებრ აქაფთვე სიბნელისა თითოეულისა.

**შეათედ:** იქმოდე კეთილსა საფუძველსა ამას ზედა სარწმუნოებისასა, რამეთუ *სარწმუნოებად თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს* (იაკ.2,20 და 26), ვითარცა-იგი საქმენი – თვნიერ სარწმუნოებისა. **შ**ჰა ესერა გქონან სახენი ესე საიდუმლოვანი, რომელნი არა უცნაურ არიან, არცა უცხო სასმენელთაგან მრავალთადასა. **ქ**ოლო სხუანი იგი საიდუმლონი ისწავლენე მადლითა მით სამებისაათა, რომელნიცა-იგი დაჰფარნე ბეჭდითა მით შენითა დაბეჭდულნი.

46. **წ**არნა ამას განარებ: დგომად ეგე, რომელი შემდგომად ნათლისღებისა დასდგე წინაშე წმიდისა საკურთხეველისა, მერმისა მის დიდებისა სახე არს; ფსალმუნებად იგი, რომლითა შეწყნარებულ იქმნა, მერმისა მის გალობისა წინამორბედი არს; ლამპარნი იგი, რომელ აღანთნე მერმისა მის ნათლისა, საიდუმლონი არიან, რომლითა მივეგებნეთ სიძესა მას ბრწყინვალენი და ქალწულნი სულითა ბრწყინვალითა მით ლამპრითა სარწმუნოებისაათა და რათა არა გუეძინოს უდებებით, ნუჟუე ვერ ვცნათ, რაჟამს მოვიდეს უცნაურად, **ქ**ომელსა-იგი მოველით, ნუცამცა ვიპოებით ნაკლულევანნი ზეთითა მთხოველ კეთილთა საქმეთა, რათა არა სასძლოვსა მისგან გამოვეჳუნეთ, რამეთუ ვხედავ ვნებასა მას, ვითარ სანყალობელ არს.

**ქ**აჟამს-იგი მოვიდეს სიძე და ჳმად იყოს, რომელი უწოდდეს მიმგებელთა მისთა, ხოლო რავდენნი იყენენ ბრძენ, მიეგებნენ ბრწყინვალითა ნათლითა და ზეთითა ფრიადითა. **ქ**ოლო ცოფნი იგი შეშფოთდენ და ითხოვდენ ზეთსა მათგან, რომელთა აქუნდეს, რაჟამს-იგი არღარა იყოს ჟამი თხოვისადა. **ქ**ოლო სიძე იგი ადრე შევიდეს სასძლოდ და ბრძენნი იგი თანა-შეჰყვენ და სხუანი იგი გარე დაშთენ, რომელთა ჟამი იგი სასძლოდ შესლვისადა განმზადებასა შინა თავთა მათთასა წარაგეს, რამეთუ პირველვე არა განმზადებულ იყენეს და ფრიად იტირონ, რაჟამს გულისჳმა-ყონ, რა-იგი უყო მათ უდებებამან, *რაჟამს-იგი არღარა შესავალ იყოს სასძლოდ იგი, დაღაცათუ ფრიად ევედრებოდინ, რომელი-იგი თავთა თვსთა ბოროტად დაუჳშეს* (მთ.25,1). **შა** იგინიცა ემსგავსენს მათ, რომელნი-იგი სხვთა სახითა გამოვეჳუნეს ქორნილისა მისგან, რომელი-იგი *კეთილმან შამამან განუმზადა კეთილსა მას სიძესა და იგინი გამოვეჳუნეს ცოლისა მისთვს, ახლად შერთულისა, ანუ ავარაკისა მისთვს, ახლად სყიდულისა, ანუ უღელთა მათთვს ჳართა* (ლკ.14,18), რომელნი-იგი ბოროტად მოიგნეს და უნდოთათვს და არარათა დიდთა მათგან კეთილთა გამოვეჳუნეს, რამეთუ მუნ ვერვინ შევალს შეურაცხმყოფელთაგანი და დაჳსნილთადა, არცა რომელთა ემოსოს სამოსელი ხენეში და არა საქორწინე, დაღაცათუ შევიდეს ბრწყინვალეებასა მას იდუმალ ამოთა სასოებითა ცთუნებული, არამედ მყის განიდევნოს იგი, შეკრული ჳელით და ფერჳით, ბნელსა მას გარესკნელსა.

**შა** მერმე რად ყოფად არს? რაჟამს შინაგან შევიდეთ სასძლოსა მას, მაშინ უწყის თავადმან მან სიძემან, რა-იგი გუასწაოს და ვითარ იყოს სულთა მათ თანა, მის თანა შესრულთა, რამეთუ ვითარ მე ვჰგონებ, ყოფად არს იგი მათ თანა და ასწავლიდეს საქმეთა სრულთა და წმიდათა, რომელთაცა ღირსმცა ვართ ჩუენცა მიღებად და ზიარ-ყოფად, მასწავლელნიცა ესე ამათ საქმეთაგანი და რომელნიცა ისწავლიან თვთ **წ**ავადისა **ქ**რისტეს მიერ, **ღ**ფლისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდებად და სიმტკიცე თანა **შ**ამით და სულით **წ**მიდითურთ, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.